საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ ([redacted]მობ.: [redacted]ელ. ფოსტა:[redacted]

განცხადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებებს ქვემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით რეგულირებულ იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდგომ დახვეწას.

წინადადება N1 - საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება ა) ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების მარეგულირებელი იმ სამართლებრივი აქტების გასაიდუმლოების დაუშვებლობა, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს ფიზიკური პირის კანონიერი ინტერესების და უფლებების რეალიზაციას და ბ) გაცემული/ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების დაუშვებლობას.

წინადადება N2 - ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება საკანონმდებლო მაცნეში საკანონმდებლო აქტების ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტების (გამოცემული აქტებს) ვერსიების საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე მიბმას

წინადადება N3 – ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება სანოტრო მოქმედებების მიმღებ პირთა წრის ზრდას;

წინადადება N4 - საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომეიც ეხება ა) რეზერვში ჩარიცხული მოხელის მიერ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლის ან/და პირად საქმეში ცვლილებების შეტანას ბ) საჯარო სამსახურში დასაქმების შესაძლებლობის მქონე პირთა წრის ზრდას გ) საჯარო მოხელეთა შორის საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და დ) მოხელის მიერ გამოუყენებელი შვებულების თანხის მიღების კრიტერიუმების რეგულირებას.

ცნობისათვის: ვფიქრობ რა ზემოხსენებული ყველა წინადადება შესაძლოა განეკუთვნებოდეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის კომპეტენციას, ისინი წარმოდგენილ იქნა ერთი განცხადებით. აქვე, აღვნიშნავ, რომ ზემოხსენებული ნაწილი პრობლემური საკითხებისა, შემხვედრი აღმოჩნდა ჩემი უფლებების და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის პროცესისას, რამაც ასევე განაპირობა ხსენებული საკითხის შემდგომი დამუშავების სურვილი.

30/10/2023

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-13943/23
30 10 2023წ. ფურც. 48

საკანონმდებლო წინადადება

წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted]; ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის ადგილი: [redacted]

ცვლილების სახეობა: საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საკითხი ა) ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების მარეგულირებელი იმ სამართლებრივი აქტების გასაიდუმლოების დაუშვებლობა, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს ფიზიკური პირის კანონიერ ინტერესების და უფლებების რეალიზაციას. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლით განისაზღვრება ის ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია, მათ შორის გვხვდება - საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები, გადაწყვეტილების მიღების წესი, საჯარო საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიის შედეგები და ასევე ყველა ის ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებული წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს. ამავე კოდექსით გათვალისწინებულია პროაქტიული გამოქვეყნება - რაც განმარტებულია შემდეგნაირად: შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება. კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისაგან. საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციის ნუსხაში ასევე გვხვდება საქმიანობის მარეგულირებელი აქტები (დებულება, წესდება, შინაგანაწესი). თუმცა, გარდა იმისა, რომ მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები (ჩამონათვალი) არ მოიცავს ყველა სახეს (შესაბამისად დამატებით რეგულირებას შესაძლოა საჭიროებდეს). სავარაუდოდ მართებული იქნებოდა სზაკ-ის 42-ე მუხლით მოცემულ იმ ჩამონათვალში გათვალისწინება საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებისა, რომლის უპირობო გასაჯაროება ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, სამართლებრივი დავისათვის დროულ და სათანადო მომზადებას, კვალიფიციური და სანდო დახმარების მიღებას, სწორედ, რომ მოცემული სახის ინფორმაციის თავისუფლება (გასაიდუმლოების დაუშვებლობა) წარმოქმნიდა არის გამოხატვის უფლების წინაპირობას, აღნიშნული პროცესი თავის მხრივ ხელს შეუწყობდა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან თვითნებობის პრევენციას. შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს მიზანი არა მხოლოდ სათანადო სამართლებრივი აქტების მიღება უნდა იყოს, არამედ თავად ამ აქტების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა. ცნობისათვის: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-1 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა,

აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. აღნიშნულ უფლებებს ალბათ ასევე უკავშირდება ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტიც, რომლის თანახმად დაუშვებელია იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გამოუქვეყნებლობა, რომელიც ზღუდავს უფლებებსა და თავისუფლებებს ან ადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ალბათ სასურველი იქნებოდა - საკანონმდებლო დონეზე საჯარო დაწესებულების ვალდებულების განსაზღვრას, რომელიც უკავშირდება მისი საქმიანობის განხორციელების, უფრო სწორედ კი მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

> ცნობისათვის: ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია „საიდუმო" გრიფის მქონე ნორმატიული აქტების საკითხიც, რომლებიც თავისთავად ვერ მოხვდებიან მოცემულ ჩამონათვალში, ასევე მხედველობაშია მისაღები ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტიც (შესაბამისად, ცვლილების სათანადო ასახვის მიზნით).

საკითხი - ბ) საჯარო ინფორმაციის (გაცემის/ გამოქვეყნების) გასაიდუმლოების დაუშვებლობის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საჯარო ინფორმაცია ღიაა და ყველასათვის ხელმისაწვდომი, გარდა სახელმწიფო, კომერციულ საიდუმლოებასა და პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებული ინფორმაციისა. ინფორმაციის თავისუფლება 2005 წელს ადამიანის სხვა ფუნდამენტურ უფლებებს გაუტოლდა. ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკულმა კომისიამ ერთპიროვნულად სცნო ადამიანის უფლება - ჰქონდეს სახელმწიფოს მიერ დაცული ყველა ინფორმაციის მიღების საშუალება. 2005 წლის მაისში კი ევროპის საბჭომ განაცხადა, რომ იზრუნებს ინფორმაციის თავისუფლების ადამიანის ძირითად უფლებათა ერთ-ერთ უფლებად აღიარებაზე.

- საზოგადოება, რომელმაც თავისი ფუნქცია უნდა განახორციელოს, სათანადო დ უნდა იყოს ინფორმირებული. ხოლო საზოგადოება, რომელიც არ არის ინფ ორმირებული, შესაბამისად, არ არის ჭეშმარიტად თავისუფალი - ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო - კლოდ რეიესი ჩილეს წინააღმდეგ, 2006 წ.
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი: ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდევდეს თავის მრწამსს და მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი, რომელიც მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში ითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენც იის მე-10 მუხლი: ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად
- ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე წევრ სახელმწიფოთა მიმართ სარეკომენდაციო დოკუმენტი შემუშავებული აქვს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულება, გაატაროს აქტიური პოლიტიკა, რათა საზოგადოებისათვის

ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ინფორმაცია, რომელიც მიჩნეულია სასარგებლოდ გამჭირვალე დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ნებისმიერი ღია ინფორმაცია წარმოშობს ადეკვატური შეხედულებისა თუ კრიტიკული აზრის შექმნის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში კი საჯარო ხელისუფლების მიმართ ნდობის გაჩენისათვის მნიშვნელოვანია, რომ იცოდეს ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ორგანოში რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს. ამასთან, გარდა უფლებამოსილების განსაზღვრელი სამართლებრივი აქტების ცოდნისა, მოცემულს შეიძლება მოემსახუროს საჯარო რეესტრიც, სადაც შეიტანება გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

ცნობისათვის: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის ვ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოქვეყნება განმარტებულია, როგორც კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლით (ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია) მოცემულ ჩამონათვალს ასევე დამატებოდა საჯარო რეესტრში შეტანილი გაცემული/ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციაც.

## საკანონმდებლო წინადადება

წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted]; ელ. ფოსტა [redacted]; რეგისტრაციის ადგილი: [redacted]

ცვლილების სახეობა: ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკითხი ა): საკანონმდებლო მაცნეში საკანონმდებლო აქტების ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტების (გამოცემული აქტებს) ვერიების მიტვირთვას. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $52^1$ მუხლის $1^1$ პუნქტის შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ" და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილ მოთხოვნებს. ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ელექტრონულ დოკუმენტზე შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასვას კვალიფიციური ელექტრონული შტამპი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით, ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განიმარტება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნება. ოფიციალური იურიდიული ძალა აქვს აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით განთავსებულ სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებს. ნორმატიული აქტები ელექტრონული ფორმით ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე. სავარაუდოა, რომ ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში არსებული მოცემული ჩანაწერი - სრულ ტექსტთან მიმართებით განხორციელდა მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური განვითარება ბევრად ჩამორჩენილი იყო ვიდრე დღეს არის ან/და ბეჭვდური გამომცემლობისათვის ნაკლებად რელევანტური იყო დოკუმენტის ასლის, მათ შორის ციფრული სახით მიწოდება. შესაბამისად - იმ პერიოდში ნაკლებად გამოიყენებოდა რა დოკუმენტების სკანირება, საკანონმდებლო მაცნე დაეყრდნო სამართლებრივი აქტების ბეჭდურ ვერსიებს.

თუმცა, დღეს არსებული ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, არა თუ დოკუმენტის სკანირება, არამედ დოკუმენტის შედგენა ხდება ციფრულ ფორმატში (PDF ფორმატში დოკუმენტების გენერირება). ამ ვითარებაში კი მათი გამოქვეყნების კუთხით გამოწვევები მოგვარებადი ხდება. ზემოხსენებული შესავალი განხორციელდა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ყოველთვის არსებობს თეორიული საფრთხე - სამთავრობო ვებ გვერდების, მათ შორის საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი მოხვდეს ხაკერული თავდასხმის მიზანი, რა დროსაც შესაძლოა დაიკარგოს ან/ აირიოს ის ტექსტები, რომელიც ვებ გვერდზეა მოცემული. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ - ტექსტების ჩასწორება მოხდეს არალეგიტიმურად, თუგინდ გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ასეთი შემთხვევებისა თუ გარემოებების თავიდან აცილება სწორედ, რომ საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე, ტექსტების განთავსებასთან ერთად (რაც მონაცემთა ძიების პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს), მოცემულ ჩანაწერზე განხორციელეს ნორმატიული აქტის იმ დოკუმენტის მიბმაც, რომელიც შეიცავს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას ან/და ბეჭედს/ შტამპს.

საკანონმდებლო წინადადება

წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted]; ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის ადგილი: [redacted]

ცვლილების სახეობა: ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკითხი ა) სანოტრო მოქმედებების მიმღებ პირთა წრის ზრდის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის თანახმად, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვონ სანოტარო მოქმედების შესრულება იმავე წესით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეებს. საგულისხმოა, რომ მოცემული ჩანაწერის გათვალისწინებით ამ პირთა წრის მიღმა შეიძლება დარჩეს საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირ(ებ)იც. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 11/10/2011 133 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტების თანახმად, პირადობის ნეიტრალური მოწმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას და მის საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე, პირადობის ნეიტრალური მოწმობის მიღების უფლება არა აქვს პირს, რომელზეც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. ამასთან, წესის 15-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულის ჩანაწერის აუცილებლობა ვფიქრობ, რომ ასევე გამომდინარეობს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31/03/2010 71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 19-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით, რომლის გათვალისწინებითაც იგი არ მოდის თანხვედრაში არსებულ გამოწვევებთან და მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების მიღმა ტოვებს ნეიტრალურ დოკუმენტებს - საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა ან სამშობლოში დაბრუნების დროებითი მოწმობა. დასაშვებია სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენა სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ერთიანი ნიმუშის ეროვნული ან საერთაშორისო მოწმობის საფუძველზე, რომელიც გაცემულია საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა შესაბამისი ქვეყნის მიერ გაცემული პასპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთში სამოქმედოდ, ბინადრობის მოწმობა ან სამშობლოში დაბრუნების დროებითი მოწმობა. დასაშვებია საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მცხოვრები უცხოელის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების

სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი პირის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მონაცემების გამოყენებით. თუ სანოტარო მოქმედება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სრულდება, ნოტარიუსი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, დამატებით გამოიყენოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მონაცემები. შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე შესაბამისი ჩანაწერის გაჩენის შემთხვევაში (ზემოხსენებული კანონის 54-ე მუხლის განვრცობით), ყველა კანონქვემდებარე საკანონმდებლო აქტი თანხვედრაში მოვა საკანონმდებლო აქტთან (ამ შემთხვევაში - ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონთან). ასევე ყურადსაღებია იმ მოქალაქეთა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრები პირები) საკითხიც, რომლებიც არ ფლობენ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს - პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირები. მხედველობაშია ასევე მისაღები, რომ ხსენებული სტატუსის მქონე პირებს, სამომავლო გამოწვევების გადაწყვეტის მიზნით (გამომდინარე იქიდან, რომ პრობლემები არსებობს მიმოსვლის კუთხით), შესაძლებელია სჭირდებოდეთ ისეთი რწმუნებულების გაფორმებაც, რომლითაც შესაძლებელი გახდება საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

ცნობისათვის: საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის და მე-5 მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით, საკონსულო თანამდებობის პირი საკონსულო მომსახურებას უწევს საქართველოს ფიზიკურ პირებს, რომელთა შორისაც მოისაზრება პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებიც. ამასთან, ამავე კანონის 23-ე მუხლის გათვალისწინებით, საკონსულო თანამდებობის პირი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს: ა) ადასტურებს/აუქმებს ანდერძს; ბ) ადასტურებს/აუქმებს მინდობილობას/რწმუნებულებას; გ) ამოწმებს დოკუმენტის ასლს ან/და დოკუმენტიდან ამონაწერს ან/და გასცემს დოკუმენტის ასლს; დ) ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას; ე) ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს; ვ) ადასტურებს პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტს; ზ ადასტურებს განსაზღვრულ ადგილას პირის ყოფნის ფაქტს; თ) ადასტურებს პირის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობას; ი) ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს; კ) ასრულებს საზღვაო პროტესტს.

საკანონმდებლო წინადადება

წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted]ებ.: [redacted] ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის ადგილი: [redacted]

ცვლილების სახეობა: საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკითხი ა) რეზერვში ჩარიცხული მოხელის მიერ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლის ან/და პირად საქმეში ცვლილებების შეტანის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება. საჯარო სამსახურში რეფორმა უპირველეს ყოვლისა ორიენტირებული უნდა იყოს კარიერულ წინსვლაზე, მიუკერძოებლობასა და თანასწორობაზე, ამასთან, ხსენებული პრინციპები უნდა ვრცელდებოდეს, როგორც უკვე მოქმედ მოხელესთან მიმართებით ასევე პოტენციურად დასასაქმებელ პირებთან მიმართებითაც (მათ შორის - მოიცავდეს რეზერვში მყოფებ პირებსაც). ერთიანი და ეფექტიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და მისი ეფექტიანი ოპერირებისათვის კი აუცილებელი ასევე უნდა იყოს სამართლებრივი საფუძვლების მუდმივი დახვეწა. პროფესიული საჯარო მოხელის სტაბილურობის, მისი საქმიანობის უწყვეტობის და უფლების დაცვის უზრუნველყოფა კანონის მთავარი სულისკვეთებაა. სტაბილურობის პრინციპის უზრუნველსაყოფად ახალმა კანონმა განამტკიცა აქამდე არარსებული შესაძლებლობა – მოხელის მობილობა. ზოგადად, სამსახურიდან გათავისუფლება გულისხმობს მოხელის როგორც სტატუსის შეწყვეტას, ასევე უფლებამოსილების შეწყვეტასაც. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება, კერძოდ, რეორგანიზაციის დროს, მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვას, რა დროსაც, მართალია, პირი გათავისუფლებულია სამსახურიდან, მაგრამ რეზერვში ყოფნის მანძილზე მას უნარჩუნდება სტატუსი. მოხელის გათავისუფლება ამ საფუძვლით არ იწვევს მოხელის სტატუსის შეწყვეტას რეზერვში ყოფნის პერიოდის მანძილზე. დღეს მოქმედი კანონმდებლობის (საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი) შესაბამისად, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის შემთხვევაში მოხელეს საკლასო დანამატი არ ეძლევა. თუმცა, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საჯარო სამსახურში გამოცხადებულ დახურულ კონკურსებში და საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ასევე დროებითი ფუნქციების დაკისრებაც. ნიშანდობლივია, რომ მოხელეთა რეზერვში ასევე ირიცხება პირი, რომელიც პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით თავისუფლდება თანამდებობიდან. თავისთავად მოცემული ნორმა თუ მექანიზმი უნდა გამომდინარეობდეს იქედან, რომ საჯარო სამსახურისათვის პრიორიტეტულია კვალიფიკაცია ამაღლებული პირის დაბრუნება. მიუხედავად მოცემული შესაძლებობებისა, რეზერვში ყოფნის პერიოდში პირს პროფესიული განვითარების კურსების შეთავაზებასთან და პირადი საქმის განახლებასთან დაკავშირებით საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი არ სთავაზობს. კერძოდ ნათქვამია შემდეგი:

- კანონის 54-ე მუხლის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულება, საჯარო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოხელის პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამებში მონაწილეობას და

ხელს უწყობს მის საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობას. მოხელე ვალდებულია, საჯარო სამსახურის მიზნებიდან გამომდინარე, განავითაროს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები საჯარო სამსახურის მიერ შეთავაზებულ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობით. მოხელის პროფესიული განვითარების მიზანია მისი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და საჯარო დაწესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სავარაუდოა, რომ საჯარო სამსახურის ინტერესს ასევე წარმოადგენდეს ჰქონდეს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით პროფესიული მომზადების მქონე მოხელეთა რეზერვი და ლოგიკურია, რომ ამ მიზნის მისაღწევად თანაბრად უნდა უდგებოდეს, როგორც მოქმედ ასევე პოტენციურ მოხელეებს. თუმცა, თავის მხრივ რეზერვში მყოფი პირისათვისაც - მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ ჯანსაღ კონკურენციაში ჩართვისათვის გააჩნდეს განვითარების თანასწორი შესაძლებლობები, რაც საბოლოო ჯამში საჯარო სამსახურის უკეთესი კადრებით დაკომპლექტებას უზრუნველყოფს.

- კანონის 54-ე მუხლის გათვალისწინებით, მოხელეს უფლება აქვს, დამატებით თავადაც განსაზღვროს მისი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი სასწავლო პროგრამის საჭიროება და საჯარო დაწესებულებასთან შეთანხმებით მოითხოვოს შესაბამისი შვებულება ამ კანონით დადგენილი წესით. თავისთავად, სამსახურიდან გათავისუფლებულ (თუგინდ დროებით რეზერვში ჩარიცხულ) პირს მითუმეტეს არ შეეზღუდება მისი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა, თუმცა, აღნიშნული პროცესის შემდგომ არ იქმნება სამართლებრივი საფუძველი, რათა განახლდეს მოხელის პირადი საქმე. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი მხოლოდ მოქმედ მოხელეებთან მიმართებით ადგენს უფლებამოსილებას გაეცნოს პირად საქმეს და ფაქტობრივი გარემოებების ცვლილებების შემთხვევაში მოითხოვოს მისი განახლება (კანონის 71-ე მუხლი), მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა გასწორების განახლების ან/და შევსების შესაძლებლობას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 15-ე მუხლი იძლევა:
    - მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან /და არასრული მო ნაცემების გასწორება, განახლება ან /და შევსება.
    - მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწ ინებული მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თ უ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი ) მ ონაცემები უნდა გასწორდეს , განახლდეს ან /და შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარ ტოს უარის გასაჩივრების წესი .

  ზემოხსენებული გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ.საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის ზემოხსენებული ნორმა დარედაქტირდეს და მოხელესთან ერთად/ მსგავსად რეზერვში ჩარიცხულ პირსაც მიენიჭოს (აღინიშნოს) პირადი საქმის გაცნობა/ განახლებასთან დაკავშირებით უფლებამოსილება.

საკითხი ბ) საჯარო სამსახურში დასაქმების შესაძლებლობის მქონე პირთა წრის ზრდას. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: პირადობის ნეიტრალური მოწმობის/

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირთა საქართველოს საჯარო სამსახურში დასაქმების შესაძლებლობის შექმნის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) იცის სახელმწიფო ენა; ბ) მიაღწია 18 წელს; გ) აქვს ამ კანონით გათვალისწინებული მოხელის სერტიფიკატი. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 18 წელს და იცის სახელმწიფო ენა, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად:

ა) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება;

ზ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/ სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია ამ კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის გათვალისწინებული თანამდებობები; ამ კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი

ყურადსაღებია ალბათ ასევე - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 27-ე მუხლის პირველი პუნქტით პროფესიული საჯარო მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები არ ვრცელდება შრომითი ხელშეკრულებით მისაღებ პირ(ებ)ზე (საჯარო სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ვრცელდება ამ კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 50-ე მუხლის პირველი–მე-7 და მე-9 პუნქტები, 51-ე, 55-ე და 56-ე მუხლები, 57-ე მუხლის პირველი პუნქტი, 58-ე, მე-60–62-ე, 64-ე, 66-ე–68-ე და 70-ე–76-ე მუხლები, 77-ე მუხლის მე-3 პუნქტი და X თავი). მხედველობაში არის მისაღები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები პირებიც, რომლებიც რიგი გარემოებების გამო არ ფლობენ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, თუმცა, მცირედ მათგანს (რამდენიმე ასეულს) გააჩნდეს პირადობის ნეიტრალური მოწმობა/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები. აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, მათ (დოკუმენტების მფლობელს) ასევე შეუძლიათ ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება, უფასო თანადაფინანსებული ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობა და საგანმანათლებლო სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, სოციალური და სხვა პროექტების განხორციელებისათვის გრანტის მიღება. ზემოხსენებული შესაძლებლობების/ უფლებების განსაზღვრის გათვალისწინებით, ლოგიკური უნდა იყოს ალბათ, ანალოგიურად (ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით, საგამონაკლისო შემთხვევის დადგენითურთ) თანამემამულის სტატუსის მქონე პირებისა, პირადობის ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელ პირების - ასევე შეეძლოთ საჯარო სამსახურში დასაქმება ხელშეკრულების (მათ შორის ადმინისტრაციული) საფუძველზე, აღნიშნულმა პროცესმა შესაძლოა დამატებითი მოტივაცია გააჩინოს მოცემული დოკუმენტის ფლობის კუთხით, თუმცა, მნიშვნელოვანია ის რესურსიც, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის მთავრობაში/ ადმინისტრაციულ ორგანოებში თუ თუგინდ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში - საჭირო დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით. გარდა მათი ჩართულობით გამოწვეული პოზიციტიური შედეგებისა, ხსენებული ხელს შეუწყობს შესაბამისი პოლიტიკის თუ პროექტებისადმი ნდობის ამაღლებას. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლს მიზანშეწონილია დაემატოს პუნქტი - პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 18 წელს და იცის სახელმწიფო ენა[1] ან/და შესაბამისი უცხო ენა, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე. ანალოგიური მიდგომა დაინერგოს სტაჟირებასთან მიმართებითაც და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 84² მუხლის 1-ელ პუნქტში საქართველოს მოქალაქესთან ერთად განისაზღვროს (შევიდეს ცვლილება) პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირიც.

გ) საჯარო მოხელეთა შორის საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საჯარო სამსახურის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად. დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახური (პრინციპი) გარანტირებული არის საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონითაც. 2017 წელს სრულად ძალაში შესულ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის რეფორმების ბოლო ტალღაში მოექცა კარიერული და პროფესიული განვითარება. საჯარო მოხელის კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა ითვალისწინებ მოხელის კვალიფიკაციის სისტემურ შეფასებას. აღნიშნულმა პროცესსმა ლოგიკურად ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერების როლის გაზრდას საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების კარიერულ განვითარებას. თუმცა ამ პროცესში ხაზგასმულია ის ფაქტორი, რომ მხოლოდ იმ ცოდნას, პროესიულ უნარებს თუკვალიფიკაციის შესახებ მონაცემების თავმოყრა იქნება შესაძლებელი, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელი მოხელეს დაკისრებული ფუნქციების თუ დავების შესაბამისად მისცემს თავის გამოჩენის შესაძლებლობას. პირობითად, საქმისწარმოების ან საარქივო საქმიანობის კუთხით რამდენიმე წლის წინ დასაქმებულ საჯარო მოხელეს - ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეძლოს თავის წარმოჩინება თუგინდ იმ სფეროებში, რომლის მიმართულებითაც დამატებით უმაღლესი განათლება/ პროფესიული განვითარება შეძლო სამსახურში მუშაობის პერიოდში (მაგალითად სამართალშემოქმედებითი პროცესი, ფინანსები, პროტოკოლი ანალიტიკური ხედვა და ა.შ.), ნაკლებად სავარაუდოა ასევე რომ მას სხვა სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებას განკუთვნილი დროებითი ფუნქციაც დააკისრონ. ასეთ ვითარებაში კი შეუძლებელი ხდება მის მიერ შეძენილი ახალი უნარების/ ახალი ცოდნის რაიმე ფორმით წარმოჩენა. მოცემული ვითარება ქმნის პრობლემებს ჯანსაღი საკადრო კონკურენციის და თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხითაც. მოცემულ ვითარებაში სასურველი იქნებოდა ისეთი მექანიზმის შექმნა, როდესაც მოხელეს შეფასების საანგარიშო პერიოდში წარმოაჩინოს ის უნარები თუ ცოდნა, რომელიც მის უშუალო სამსახურებრივ მოვალეობას არ უკავშირდება. როგორც უკვე აღინიშნა, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებულია მოხელისათვის დროებთი ფუნქციების

[1] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური

დაკისრება, თუმცა, ხსენებული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საჯარო სამსახურის გამოწვევებიდან იარსებებს. ამასთან, საქმის შესრულებისათვის არ არის გათვალისწინებული ზემოხსენებული კანონის 53-ე მუხლით გათვალისწინებული მოხელის შეფასება - შესაბამისად არ დგება ოთხდონიანი შეფასების სისტემის გამოყენება საქართველოს მთავრობის 28/04/2017 220 დადგენილების (წესი და პირობები) განსაზღვრული შეფასების სამართლებრივი შედეგები (მოხელისათვის კლასის მინიჭება, მოხელის წახალისება, პროფესიული საჭიროების/ სწავლის განსაზღვრა/ სამსახურიდან გათავისუფლება). ამ ვითარებაში სასურველი იქნებოდა პირადი ინიციატივის საფუძველზე, მოხელეს მიეცეს - იდეებისა თუ ინიციატივების წერილობითი ფორმით წარდგენის (კომპლექსური აღქმის, ანალიტიკური აზროვნების,, პროაქტიულობის, ინიციატივების გამოჩენის მხრივ, წერითი კომუნიკაციის თ სხვა კომპონენტების მხრივ) შესაძლებობა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის გათვალისწინებით - რესურსის სწორედ გამოყენებაზე წარდგენილი ხედვა კი დამატებით შეხედულებებს გაუჩენს ადამიანური რეურსების მართვის მენეჯერს ამა თ იმ კანდიდატის შესაძლებლობებზე (ვაკანტური ადგილის დაკავების მხრივ). საკითხის განხილვა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შესაბამისი საბჭოს/ კომისიის თუ სათათბირო ორგანოს მიერ, რომელიც მინიმუმ უნდა გაიმართოს წელიწადში ერთხელ. აღნიშნული სიახლე სასარგებლო იქნება არა მხოლოდ მოტივირებული მოხელისათვის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოსათვის - რომელსაც დამატებით დავალებების გაცემის გარეშეც მიიღებს იდეებს თუ ინიციატივებს - საჯარო დაწესებულებაში რესურსის უკეთესად/ ეკონომიურად გამოყენებასა და პროცესების სწორედ, ორგანიზებულად, კოორდინირებულად და ხარჯვით ეფექტიანად წარმართვაზე. აღნიშნული იდეის მოწოდების შემთხვევაში, საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 28/04/2017 220 დადგენილების ოთხდონიანი შეფასების სისტემის გამოყენებაც - ხოლო მოცემული საკითხით განხორციელებული ქმედებების შესახებ ანგარიში ცალკე ნაწილის სახით აისახებოდეს პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების ანგარიშგებაშიც.

საკითხი დ) მოხელის მიერ გამოუყენებელი შვებულების თანხის მიღების საფუძვლის განსაზღვრა. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: ყოველწლიური შვებულება დასაქმებულისათვის ერთ-ერთ მთავარ უფლებას წარმოადგენს. 1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" 24-ე მუხლის მიხედვით ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ. ამდენად, ნორმის შეფარდების პროცესში საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები შიდაეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად უშუალოდ გამოიყენება. „ფასიანი შვებულების შესახებ" 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის[2] (რატიფიცირებულია

---

[2] კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია აქტიური სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არათუ ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნული უფლებით სარგებლობას, არამედ უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება კი გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას - ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ამ უფლების სამართლიანი რეალიზება.

საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის №647 დადგენილებით; ძალაშია იმავე წლის 22 ივნისიდან) მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. საგულისხმოა, რომ განსხვავებით შრომის კოდექსისა (31-ე მუხლის მე-5 პუნქტი. შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით შეწყვეტისას იგი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად), გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებასთან მიმართებით ნორმა არ გვხვდება საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის და 2013 წლის 25 ივნისის განჩინებებში (საქმეები №ას-836-1122 და №ბს-98-91) ჩამოყალიბებულია სამართლებრივი განმარტებები გამოუყენებელი საშვებულებო დახმარების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვით, „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ" კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია დამსაქმებლის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს. განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა. სავარაუდოა, რომ პირის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლების გამოუყენებლობა არ უნდა იწვევდეს შვებულების ანაზღაურების უფლების დაკარგვას, ვინაიდან შვებულების ანაზღაურების უფლება გათავისუფლების შესახებ აქტის გასაჩივრების გარეშეც არის გარანტირებული. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში გაჩნდეს ხსენებული საკითხის მომწესრიგებელი ნორმა, მინიმუმ საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის მსგავსი სახით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორს, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს ბატონ **ირაკლი ქოიავას**

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის**
**პ/ნ** [redacted]
მცხ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

# განცხადება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით წერილობითი ფორმით, პუნქტობრივად მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია/ დოკუმენტაცია შემდეგზე:

1. ბოლო 1-2 წლის განმავლობაში მასმედიის საშუალებებში გავრცელებული დავით გარეჯის საზღვრის დემარკაციის საკითხთან მიმართებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გასაჯაროებული (გაცემული) მასალები;
2. იმ შემთხვევაში თუ ბოლო წლების განმავლობაში არ გაცემულა ზემოხსენებული პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, გთხოვთ, აღნიშნულის თაობაზეც ასევე მაცნობოთ და განიხილოთ და მომაწოდოთ დავით გარეჯის საზღვრის დემარკაციის საკითხთან დაკავშირებით მასალები;
3. ზემოხსენებული საკითხის/ პროცედურის მარეგულირებელი საერთაშორისო და შიდა ეროვნული რეგულაციების დასახელებები.

აქვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, ასევე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული, სადაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და რომელთან წარმოებდა კონსულტაცია (თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა).

28/05/2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და
პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ თეა ლეკვეიშვილს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted];
მცხ.: [redacted]

# განცხადება

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მომაწოდოთ, საჯარო დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაცია/ დოკუმენტაცია[1] 2015-2021 პერიოდთან მიმართებით (შედეგების ცალ-ცალკე გამოჯვნით) შემდეგზე:

1. ხორციელდება თუ არა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ქვემოაღნიშნული ქმედებებთან მიმართებით აუდიტორიული შემოწმება/ შემოწმების შედეგების დაფიქსირება (საკონსულო ფუნქციების ნაწილი):

   მოქალაქეობის საკითხები:

   a) საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი, გამარტივებული, საგამონაკლისო და აღდგენის წესით მინიჭებასთან მიმართებით საქმისწარმოება[2];
   b) საქართველოს მოქალაქეობის გასვლის ან დაკარგვის შესახებ საქმისწარმოება;

   საქართველოს მოქალაქის (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) რეგისტრაცია[3]:

   c) დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, უცხო სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაცია და რეგისტრაციიდან მოხსნა (საქმისწარმოება/ განხორციელება)

   საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 13-ე მუხლის გათვალისწინებით:

   d) გარდაცვლილი მოქალაქის დარჩენილი ქონების დაცვის უზრუნველყოფის საქმისწარმოება (საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი);
   e) გარდაცვლილი მოქალაქის საქართველოში გადმოსვენების უზრუნველყოფის საქმისწარმოება (საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი);
   f) დოკუმენტის თარგმნის შესრულება და დამოწმება (საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი)[4];
   g) საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტის დადასტურება (საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი);
   h) დოკუმენტის და ინფორმაციის გამოთხოვა (საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი)
   i) სხვადასხვა ცნობების გაცემა (საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი).

2. ზემოხსენებული პირველი პუნქტის და ქვეპუნქტების გათვალისწინებით, აუდიტორული შემოწმების/ რევიზიის/ საკონსულო შესაბამისობისას გამოვლენი ხარვეზები და უზუსტობები, ქვემოაღნიშნული ფორმით:

---

[1] სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

[2] საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ელი და მე3 პუნქტების შესაბამისად, განსაზღვრულია დიპლომატიური წარმომადგენლობების/ საკონსულო დაწესებულებების უფლებამოსილება განცხადების მიღებასთან დაკავშირებით.

[3] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 27/07/2011 98 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება

[4] საკონსულო საქმისწარმოებაში გამოიყენება თარგმნის დამოწმების ორი მეთოდი/ მიზანშეწონილია მიეთითოს რომელი მათგანი (სანოტარო წესით თუ მის გარეშე) იგულისხმება ხსენებულ/ ანგარიშის ქვეთავში

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და
პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ თეა ლეკვეიშვილს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted]

# განცხადება

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით მომაწოდოთ პერსონალური ინფორმაცია[1] შემდეგზე ჩემს მიერ 2022 წლის იანვრის და თებერვლის თვეში საგარეო საქმეთა სამინისტროში მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციებთან მიმართებით თქვენს მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ, ქვემოაღნიშნული ცხრილის სახით:

| განცხადების რეგისტრაციის ნომერი და თარიღი | განცხადების საფუძვლად უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულში/ დეპარტამენტში გაგზავნილი კორესპონდენციის ნომერი | განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული/ შექმნილი კორესპონდენცი(ებ)ის ნომერი | განცხადებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულიდან/ დეპარტამენტიდან ზეპირსიტყვიერად მიღებული ინფორმაცია | სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომელთაც განიხილეს ჩემს მიერ ხსენებულ პერიოდში წარმოდგენილი განცხადება |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

აქვე, შეგახსენებთ რომ არამხოლოდ ზემოხსენებულ განცხადებებთან მიმართებით (ჯერ ჯერობით მიღებული მაქვს 3 თუ 4 პასუხი), არამედ 2021 წელში შემოტანილ განცხადებებთან მიმართებით არ მიმიღია საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით დადებითი, უარყოფითი თუ შუალედური პასუხიც კი. ასე მაგალითად (ნაწილი განცხადებებისა თან ერთვის):

a) 26/03/2021 განცხადება (რეგისტრაციის 9844/01 შიდა აუდიტის საქმიანობაში გამოსაყენებელი სამართლებრივი აქტების ნუსხის და აუდიტის განხორციელების ფარგლებში გაწეული რეკომენდაციების შესახებ);
b) 04/04/2021 განცხადება (რეგისტრაციის 05/04/2021 10836/01 დიპლომატიური სტატუსი მქონე საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ
c) 12/04/2021 განცხადება (რეგისტრაციის 11593/01 საჯარო ინფორმაციის რეესტრის და საჯარო ინფორმაციის საფუძვლად მიღებული შემოსავლების შესახებ);
d) 21/04/2021 განცხადება (რეგისტრაციის 12972/01 შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმების ანგარიშები);
e) 28/05/2021 განცხადება (რეგისტრაციის N17229/01 დავით გარეჯის შესახებ);
f) 31/05/2021 განცხადება (რეგისტრაციის N17525/01 სახელმწიფოს მხრიდან კორონავირუსის გავრცელების დროს უცხოეთში მყოფი თანამემამულეებისათვის გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ).
g) 02/02/2021 განცხადება (საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით გატარებული რუსეთის სავიზო პოლიტიკის შესახებ).

გთხოვთ, მოიძიოთ/ თავი მოუყაროთ ასეთი ტიპის განცხადებებს და მაცნობოთ პასუხი (მათ შორის ინფომაციის დაყოვნების მიზეზების შესახებ).

---

[1] კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: ა) მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი; გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები; ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზან

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება *(თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).* აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი.

დანართი: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით წარმოდგენილი განცხადებების ნაწილი.

08/02/2022

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო
ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და
პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ თეა ლეკვეიშვილს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted]

# განცხადება

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შესაბამისად, სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა. გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მომაწოდოთ, აღნიშნულ ამოცანასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაცია[1], როგორც იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც უკვე გაფორმებულია შესაბამისი შეთანხმება, ასევე, რომლებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები (თითოეული სახელმწიფოსთან მიმართებით ცალ-ცალკე) შემდეგზე (ყველა პუნქტის დაცვით):

a) ადგილსამყოფელ ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეთა სავარაუდო რაოდენობა (შესაძლებლობიდან გამომდინარე გაიმიჯნოს ლეგალურად მყოფ პირთა რაოდენობა);
b) შრომითი მიგრანტის დაცვის და დახმარების მექანიზმები;
c) შრომითი მიგრანტების უფლებები;
d) ორგანიზებული შრომითი მიგრაციის უპირატესობები;
e) არალეგალური მიგრაციის მართვის შესაძლებლობა;
f) დემოგრაფიული ფაქტორები (კლება/ მატება, მიგრანტთა ხვედრითი წილი);
g) შრომის ძალის დეფიციტის პროგნოზირების, შეფასების და მოძიების შესაძლებლობა,
h) სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერების პერსპექტივა;
i) ადგილსამყოფელი ქვეყნის მოსახლეობის განწყობა (შრომით მიგრანტებთან მიმართებით).

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება *(თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).* აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით განსაზღვრული იქნება მოსაკრებელი, გთხოვთ, საწყის ეტაპზე ელექტრონული მასალა გადმომიგზავნოთ ელ. ფოსტის მისამართზე (nikonikoladze@hotmail.com), ხოლო ციფრულ ფორმატში მათი მიღების შემდგომ შევაფასებ მატერიალური ფორმით მიღებისათვის თანხის გადახდის მიზანშეწონილობას.

03/02/2022

[1] სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

# Re: საჯარო ინფორმაცია - ცირკულარული მიგრაციის მონაცემები

MFA of Georgia <mfageo@mfa.gov.ge>
Thu 2/3/2022 3:09 PM
To: [redacted]

3442/01

---

**From** [redacted]
**Sent:** 03 February 2022 19:02:14
**To:** MFA of Georgia
**Subject:** საჯარო ინფორმაცია - ცირკულარული მიგრაციის მონაცემები

გთხოვთ, მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ქალბატონ თეა ლეკვეიშვილს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ [redacted]
მცხ.: [redacted]

# განცხადება

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მომაწოდოთ, საჯარო დაწესებულებაში 2014 წლიდან დღემდე დაცული **საჯარო ინფორმაცია**[1]:

1. საკონსულო დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობის და მოცემული პერიოდის განმვლობაში ცვლილების შესახებ სამართლებრივი აქტები და აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების და საფუძვლების თაობაზე ინფორმაცია (მუხლის და პუნქტის მითითებით);
2. საკონსულო დეპარტამენტის თანამდებობები, რომლებზეც მოცემული პერიოდის განმავლობაში გამოცხადებული იქნა კონკურსები (გაიმიჯნოს შიდა და გარე კონკურსები, წლების მიხედვით);
3. საკონსულო დეპარტამენტში მენეჯერულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევათა რაოდენობა (გაიმიჯნოს წლების მიხედვით) და დანიშვნის საფუძვლების თაობაზე ინფორმაცია (მუხლის და პუნქტის მითითებით);
4. საკონსულო დეპარტამენტში ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევათა რაოდენობა (გაიმიჯნოს წლების მიხედვით) და დანიშვნის საფუძვლების თაობაზე ინფორმაცია (მუხლის და პუნქტის მითითებით);
5. საკონსულო დეპარტამენტში ტექნიკური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევათა რაოდენობა (გაიმიჯნოს წლების მიხედვით) და დანიშვნის საფუძვლების თაობაზე ინფორმაცია (მუხლის და პუნქტის მითითებით);
6. საკონსულო დეპარტამენტში არსებული ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციონალური მოვალეობის (სამუშაო აღწერილობის) შესახებ ინფორმაცია;

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება *(თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).* აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით განსაზღვრული იქნება მოსაკრებელი, გთხოვთ, საწყის ეტაპზე ელექტრონული მასალა გადმომიგზავნოთ ელ. ფოსტის მისამართზე [redacted] ხოლო ციფრულ ფორმატში მათი მიღების შემდგომ შევაფასებ მატერიალური ფორმით მიღებისათვის თანხის გადახდის მიზანშეწონილობას.

04/02/2022

---

[1] სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

# Re: საჯარო ინფორმაცია - საკონსულო დეპარტამენტის საკონკურსო თანამდებობები

MFA of Georgia <mfageo@mfa.gov.ge>
Fri 2/4/2022 6:27 AM
To: [redacted]

3474/01

---

**From:** [redacted]
**Sent:** 04 February 2022 10:24:33
**To:** MFA of Georgia
**Subject:** საჯარო ინფორმაცია - საკონსულო დეპარტამენტის საკონკურსო თანამდებობები

გთხოვთ, მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო
ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და
პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ თეა ლევვეიშვილს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted]

# განცხადება

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მომაწოდოთ, საჯარო დაწესებულებაში 2014 წლიდან დღემდე დაცული საჯარო ინფორმაცია/ დოკუმენტაცია[1]:

1. საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სპეციალური სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მოდულების განსაზღვრის შესახებ მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი (სათანადო წესით დამოწმებული) აქტები;
2. საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სპეციალური სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ტექსტირების და სერტიფიცირების შესახებ ინფორმაცია, ქვემოაღნიშნული ფორმით:

| სასწავლო პროგრამის გავლის პერიოდი | გამოცდის თარიღი | ტესტირებაში მონაწილე პირთა რაოდენობა | ტესტირების (დადებითად) ჩამბარებელ პირთა რაოდენობა | გამოცდის პერიოდში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, გადაცემული სერტიფიკატის ძალმოსილების ხანგრძლივობა/ მოქმედების ვადა | შენიშვნა/ კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

3. რამდენ საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატს გაუვიდა მოქმედების ვადა (ყოველწლიური მაჩვენებლის გამიჯვნით);
4. 2012 წლის 16 აგვისტომდე საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად გაცემული სერტიფიკატების რაოდენობა (გაცემის პერიოდების და მოქმედების ვადის გამიჯვნით).

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება *(თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).* აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით განსაზღვრული იქნება მოსაკრებელი, გთხოვთ, საწყის ეტაპზე ელექტრონული მასალა გადმომიგზავნოთ ელ. ფოსტის მისამართზე [redacted] ხოლო ციფრულ ფორმატში მათი მიღების შემდგომ შევაფასებ მატერიალური ფორმით მიღებისათვის თანხის გადახდის მიზანშეწონილობას.

04/02/2022

[1] სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

# Re: საჯარო ინფორმაცია - საკონსულო სერტიფიკატების შესახებ

MFA of Georgia <mfageo@mfa.gov.ge>
Fri 2/4/2022 8:55 AM
To: [redacted]

3514/01

---

**From:** [redacted]
**Sent:** 04 February 2022 12:44:05
**To:** MFA of Georgia
**Subject:** საჯარო ინფორმაცია - საკონსულო სერტიფიკატების შესახებ

გთხოვთ, მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ბატონ **ირაკლი ქოიავას**

ასლი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ** [redacted]
მცხ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

# განცხადება

მოგმართავთ თხოვნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვით, წერილობითი ფორმით (პუნქტებრივად), მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია/ დოკუმენტები:

1. იმ სამართლებრივი აქტების, დირექტიული ხასიათის კორესპონდენციის დეტალური ნუსხა, რომელსაც უფლებამოსილი პირი 2016-2020 წლებში ეყრდნობა/ იყენებდა საქართველოს საკონსულო საქმისწარმოების (ცალკე გამოიყოს საკონსულო მომსახურებები) შიდა აუდიტორული შემოწმების დროს. იმ შემთხვევაში თუ სამართლებრივის მხოლოდ გარკვეული ნაწილი გამოიყენება მოცემული მიმართულებით თავის/ ნაწილის თუ მუხლების მითითებით;
2. ზემოხსენებული პირველი პუნქტით განსაზღვრული ნუსხიდან იმ დოკუმენტების ასლები, რომელთა მოძიება შეუძლებელია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში;
3. საზღვარგარეთ სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ან/და ქვედანაყოფებში 2016-2020 წლებში ჩატარებული საკონსულო საქმისწარმოების (ცალკე გამოიყოს საკონსულო მომსახურებები) შიდა აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციები (თითოეული წელიწადი ცალ-ცალკე).

აქვე, ზემოხსენებული პირველი ორი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დაუშავება უპირატეს ხასიათს იძენს.

დანართი: თანახმად ტექსტისა.

26/03/2021

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არასრულწლოვანი | | | | | | |
| Covid-19 ინფიცირებული | | | | | | |
| ორსულად მყოფი | | | | | | |
| მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირი | | | | | | |
| შესაბამისი ფინანსური სახსრების არმქონე პირი | | | | | | |
| რეადმისიას დაქვემდებარებული პირი | | | | | | |
| დეპორტაციას დაქვემდებარებული პირი | | | | | | |
| სხვა დანარჩენი | | | | | | |

აქვე, იმ შემთხვევაში, თუ დასაბრუნებელი მოწმობის პირთა წრის ველში დაფიქსირებული რომელიმე კატეგორია დიპლომატიურ წარმომადგენლობას/ საკონსულო დაწესებულებას არ მოეპოვება მოცემული ფორმით დახარისხებული სახით, გთხოვთ, ასეთი მონაცემები გააერთიანოთ "სხვა დანარჩენი"-ს ნაწილში.

6. 2020 წლის 11 მარტიდან 2021 წლის 1 ივლისამდე (თითოეული კვარტალი ცალ-ცალკე) საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის/ საკონსულო დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე/ სოციალურ ქსელებში პანდემიიდან გამომდინარე განთავსებული ინფორმაციის ინტერნეტ ბმულები (სასურველია მოკლე მითითება ინფორმაციის შინაარსის შესახებ). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ უკვე აღარ იძებნება (დეაქტივირებულია/ დაარქივებულია) დიპლომატიური წარმომადგენლობის/ საკონსულო დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე/ სოციალურ ქსელებში პანდემიიდან გამომდინარე განთავსებული ინფორმაცია, გთხოვთ, ცალკეულად მომაწოდოთ განთავსებული ინფორმაციის სრული შინაარსი და განთავსების და დეაქტივაციის თარიღები;

7. პანდემიიდან გამომდინარე მოქალაქეთათვის სამართლებრივი დაცვის და გადაუდებელი დახმარების უზრუნველსაყოფად დიპლომატიური წარმომადგენლობის/ საკონსულო დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ადგილსამყოფელი/ გადაფარვის ქვეყანაში განხორციელებული შიდა მივლინება (ადგილსამყოფელი ქალაქის ფარგლებს გარეთ, თითოეული კვარტალი ცალ-ცალკე. მივლინებების გაფორმების და მივლინებების დღეების ოდენობის დაანგარიშებით).

   ამასთან, დამატებით გაცნობებთ შემდეგს:
   - ✓ განცხადების 1-ელ, მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებს უპირატესობა ენიჭებათ ინფორმაციის მოწოდების დროს (თუგინდ პერიოდულად, 2 კვირიან პერიოდში დამუშავებული ინფორმაციის მოწოდების გზით);
   - ✓ განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაცია გაიმიჯნოს ადგილსამყოფელი და გადაფარვის ქვეყნების მითითებით. ამასთან, საკონსულო დაწესებულებების ოლქის შემთხვევაში, მოცემულ ქვეყანასთან მიმართებით ცალკე დაუჯამებელი მონაცემები აღირიცხოს მისი ადგილსამყოფელი ქალაქის მინიშნებით;
   - ✓ თითოეულ საკითხზე ინფორმაციის მიღება მესაჭიროება შესაბამისი პუნქტების დაცვით;
   - ✓ იმ შემთხვევაში თუ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში გადაფარვის ქვეყნებთან მიმართებით (ან/და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დაკავშირებით) რომელიმე ზემოხსენებულ კითხვასთან მიმართებით ინფორმაცია არ არის დაცული, აღნიშნულის თაობაზე ცალკეულად მეცნობოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში.

აქვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური

თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება (თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “დ” და “ე” პუნქტების გათვალისწინებით).



09/07/2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ბატონ **ირაკლი ქოიავას**

ასლი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ** [redacted]
მცხ.: [redacted]

# განცხადება

მოგმართავთ თხოვნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვით, წერილობითი ფორმით (პუნქტებრივად), მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია/ დოკუმენტები:

1. იმ სამართლებრივი აქტების, დირექტიული ხასიათის კორესპონდენციის დეტალური ნუსხა (სია), რომელსაც უფლებამოსილი პირი 2016-2020 წლებში ეყრდნობა/ იყენებდა საქართველოს საკონსულო საქმისწარმოების (ცალკე გამოიყოს საკონსულო მომსახურებები) შიდა აუდიტორული შემოწმების დროს.

   *იმ შემთხვევაში თუ სამართლებრივის აქტების მხოლოდ გარკვეული ნაწილი გამოიყენება მოცემული მიმართულებით, თავის/ ნაწილის ან/და მუხლების მითითებით;*

2. ზემოხსენებული პირველი პუნქტით განსაზღვრული ნუსხიდან (სიიდან) იმ დოკუმენტების ასლები, რომელთა მოძიება შეუძლებელია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში;

3. საზღვარგარეთ სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ან/და ქვედანაყოფებში 2016- 2020 წლებში ჩატარებული საკონსულო საქმისწარმოების (ცალკე გამოიყოს საკონსულო მომსახურებები) შიდა აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციები (თითოეული წელიწადი ცალ-ცალკე) და მათი შესრულების მდგომარეობა.

აქვე, ზემოხსენებული პირველი ორი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დაუშავება უპირატეს ხასიათს იძენს.

დანართი: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

26/03/2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ
საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის
დირექტორს, საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს
ბატონ **ირაკლი ქოიავას**

**მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/N** [redacted]
მცხ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

# განცხადება

ჩემს მიმდინარე წლის 26 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით (თან ერთვის), მოგმართავთ თხოვნით დამიჩქაროთ პასუხის მიღება (მომაწოდოთ ინფორმაცია ამჟამად დამუშავებული მდგომარეობის გათვალისწინებითაც), მათ შორის შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, სზაკ-ის 41-ე მუხლის ან/და სზაკ-ის 40-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების გათვალისწინებითაც.

ამავდროულად ვისარგებლებ შემთხვევით და მოგმართავთ თხოვნით, მათ შორის სზაკ-ის 42 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მომაწოდოთ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების, ასევე, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2016-2020 წლებში განხორციელებული შიდა აუდიტორული (გეგმიური) შემოწმებების ანგარიშების (ფინანსური, შესაბამისობისა და საკონსულო საქმისწარმოების შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშები) ასლები, (სასურველია კომპაქტ დისკზე ჩაწერილი სახით).

დანართი: 03/08/2017 01/28580 წერილის ასლი.

21/04/2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს
ბატონ **ირაკლი ქოიავას**

**მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/N** [redacted]
მცხ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების გათვალისწინებით, მომაწოდოთ ინფორმაცია/ დოკუმენტები ქვემოაღნიშნულის შესახებ:

1. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე (ან/და თუგინდ 2008 წლის შემდგომ ნებისმიერ შესაძლო პერიოდში) რუსეთის ფედერაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა მზარდი/ კლებადი ტენდენციების პერიოდების აღნიშვნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. თქვენს ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის ცვლილებების (გამკაცრება, გამარტივება ან/და სხვ.) შესახებ, შესაბამისი ფორმების და პერიოდების მითითებით;
3. 2008 წლის შემდგომ პერიოდში (ან თქვენს ხელთ არსებულ პერიოდზე) რუსეთის სახელისუფლებლო ორგანოების/ თანამდებობის პირთა გამონათქვამები (პოზიციები) საქართველოს მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის გამარტივების ან/და გამკაცრების შესახებ
4. საქართველოს და რუსეთის ფედერაციას შორის მოქალაქეთა მიმოსვლის/ სავიზო ურთიერთობის მარეგულირებელი ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები (და მათი პროექტები) და სხვა სახის აქტები, დიპლომატიური კორესპონდენციის ასლები (ან/და მათში დატანილი შინაარსი);
5. დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე (ან/და თუგინდ 2008 წლის შემდგომ ნებისმიერ შესაძლო პერიოდში) საქართველოს მოქალაქეთა მიმართვების ოდენობა რუსეთის ვიზების გაცემის შესახებ (არ იგულისხმება დიპლომატიური/ სამსახურებრივი მიზნით მიმავალ პირთა მონაცემები) - საკითხის დადებითად ან/და უარყოფითად გადაწყვეტის გამიჯვნით.

02/02/2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის
დეპარტამენტის დირექტორს, საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს
**ბატონ ირაკლი ქოიავას**

**ასლი:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტს (ცნობისათვის)

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/ N [redacted]
მცხ. [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

# განცხადება

გთხოვთ, მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია 2020 წლის 1 იანვრიდან განცხადებაზე საპასუხო წერილის მოწერის დღემდე საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში:

1. შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე იმ თამაშრომელთა რაოდენობის და სამუშაო რეჟიმის (კვირის სამუშაო დღეების და საათების მითითებით და საჭიროებისამებრ მონაცემთა გამიჯვნით) შესახებ, რომელთა უფლებამოსილებას განეკუთვნება ცხელი ხაზის ტელეფონებზე მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევა;
2. ადმინისტრაციული ტექნიკური პერსონალის იმ თამაშრომელთა რაოდენობის და სამუშაო რეჟიმის (დღეების და საათების მითითებით) შესახებ, რომელთა უფლებამოსილებას განეკუთვნება (ან/და დროებით დაკისრებულ იქნა) ცხელი ხაზის ტელეფონებზე მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევა;
3. 1-ლი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებში გაიმიჯნოს არასამუშაო პერიოდის საათებში/ ღამის ცვლაში/ უქმე დღეებში მომუშავე პირთა მონაცემები;
4. ხორციელდება თუ არა 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ პირებთან მიმართებით **"საქართველოს შრომის კოდექსის" 24-ე მუხლის 11-ე პუნქტის გათვალისწინებით სამუშაო დროის აღრიცხვა? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მომაწოდოთ 2021 წლის 1 მარტის შემდგომ წარმოშობილი მდგომარეობის შესახებ მონაცემები, თითოეული თვე ცალ-ცალკე (პერსონალური მონაცემების დაშტრიხვის გზით).**

აქვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება (თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).

09/07/2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს
**ბატონ ირაკლი ქოიავას**

ასლი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს (ცნობისათვის)

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted]

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოგმართეთ თხოვნით საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით, მათ შორის ქვემოაღნიშნული განცხადებებით, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში პასუხი მათზე დღემდე არ მიმიღია[1]:

1. 02/02/2021 განცხადება (საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით გატარებული რუსეთის სავიზო პოლიტიკის შესახებ)
2. 26/03/2021 განცხადება (რეგისტრაციის 9844/01 შიდა აუდიტის საქმიანობაში გამოსაყენებელი სამართლებრივი აქტების ნუსხის[2] და აუდიტის განხორციელების ფარგლებში გაწეული რეკომენდაციების შესახებ);
3. 26/03/2021 განცხადება (რეგისტრაციის 29/03/2021 10118/01 საგარეო საქმეთა სამინისტროს წლიური ანგარიშებისა და სამოქმედო გეგმების შესახებ);
4. 04/04/2021 განცხადება (რეგისტრაციის 05/04/2021 10836/01 დიპლომატიური სტატუსი მქონე საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ[3]);
5. **12/04/2021 განცხადება (რეგისტრაციის 11586/01 საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/ საკონსულო დაწესებულებაში სტრუქტურული და თანამშრომელთა ფუნქციური ცვლილებების შესახებ);**
6. **12/04/2021 განცხადება (რეგისტრაციის 11593/01 საჯარო ინფორმაციის რეესტრის და საჯარო ინფორმაციის საფუძვლად მიღებული შემოსავლების შესახებ);**
7. 14/04/2021 განცხადება (რეგისტრაციის 12135/01 საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ);
8. **21/04/2021 განცხადება (რეგისტრაციის 12972/01 შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმების ანგარიშები);**

---

[1] მათ შორის არ გიცნობებიათ სზაკ-ის 40 მუხლის მე-2 პუნქტის და 41-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ჩემს მიერ მოთხოვნილი იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებითაც;

[2] გამომდინარე იქიდან, რომ არც სასწავლო ცენტრს/ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს არ გააჩნია ხსენებული ნუსხა და არც მოხელის სამუშაო აღწერილობაა დამტკიცებული, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა საკონსულო სფეროში გამოსაყენებელი სამართლებრივი ნუსხის გაცნობა, ჩემთვის ერთადერთ გზად შიდა აუდიტის მიერ ინფორმაციის მიღებაა დარჩენილი. ხსენებული ინფორმაცია (მათ შორის შეთანხმებების ნუსხის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია) შესაძლებლობას მომცემს საბოლოო სურათი შევკრა იმ ნაკლოვანებების/ ხარვეზების კუთხით - რომელიც პერსონალური მონაცემების დამუშავების კუთხით საკონსულო სფეროში არსებობს;

[3] შესაძლოა ხსენებული ინფორმაცია მოეპოვებოდეს შიდა აუდიტის დეპარტამენტსაც.

9. 28/05/2021 განცხადება (რეგისტრაციის N17229/01 დავით გარეჯის შესახებ);
10. 28/05/2021 განცხადება (რეგისტრაციის N17318/01 ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შესახებ);
11. 31/05/2021 განცხადება (რეგისტრაციის N17525/01 სახელმწიფოს მხრიდან კორონავირუსის გავრცელების დროს უცხოეთში მყოფი თანამემამულეებისათვის გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ).

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული პუნქტებით გათვალისწინებული რამდენიმე საკითხი განეკუთვნება ისეთ კატეგორიას, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გათვალისწინებით გასაიდუმლოება დაუშვებლადაა მიჩნეული, ზოგიერთი მათგანი უკვე დამუშავებული და გაცემულია საჯარო ინფორმაციის სახით და ჩემთვის უარის თქმა შესაძლოა აღქმულ იქნას დისკრიმინაციულ ქმედებად, ერთ-ერთი მათგანის კი წარმოჩენა (პრეზენტაცია) განხორციელდა ღია ეთერის სახით და შესაბამისად, სავარაუდოდ მოცემული კვლევითი დოკუმენტის ღიაობაზეც უნდა მიუთითებდეს.

გთხოვთ, დამიჩქაროთ პასუხი და საჭიროებისამებრ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, მაცნობოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 40-ე და 41-ე მუხლებით განსაზღვრული გარემოებები.

28/06/2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს ბატონ **ირაკლი ქიტიავას**

**ასლი:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ცნობისათვის)

**მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/N** [redacted]
მცხ. [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

# განცხადება

მოგმართავთ თხოვნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების გათვალისწინებით, მათ შორის 42-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია ქვემოაღნიშნულის შესახებ:

1. „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 თანახმად, 2016-2020 წლებში (თითოეული წლიწადი ცალ-ცალკე) მიღებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი ოდენობის შესახებ, ქვემოაღნიშნულ მიმართულებების გათვალისწინებით (გამიჯვნით):
   ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი;
   ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა;
   გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა;
   დ) დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა;
   ე) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე;
   ვ) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე.
2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძვლად, 2016-2020 წლებში (თითოეული წლიწადი ცალ-ცალკე განაცხადების რაოდენობა) გაცემული საჯარო ინფორმაცია;
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის გათვალისწინებით, 2016-2020 წლებში (თითოეული წლიწადი ცალ-ცალკე) წარმოებული საჯარო რეესტრის ასლი (შესაძლებელია პირის პერსონალური ინფორმაციის დაშტრიხვა ან/და ინიციალების სახით აღნიშვნა).

12/04/2021

KA040100026803623

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ გ2275

06 / მარტი / 2023 წ.

ნიკოლოზ ნიკოლაძეს
მცხ.: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მიმდინარე წლის 24 თებერვლის (რეგ. N788) განცხადების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

მხილების ელექტრონული ვებგვერდი www.mkhileba.gov.ge ამოქმედდა 2015 წლის ნოემბრის ბოლოს. ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდი www.mkhileba.gov.ge მხოლოდ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს მამხილებელსა და საჯარო დაწესებულებებს შორის, მამხილებელთა პორტალზე შემოსული მხილების ყველა ფაქტი მისამართდება შესაბამის უწყებაში. შესაბამისად, ბიურო მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს ფლობს და მხილების ფაქტის შინაარსის, მათზე რეაგირების თუ სხვა კონკრეტული საკითხების დადგენა არ წარმოადგენს ბიუროს კომპეტენციას.

ამდენად, თქვენ მიერ მოთხოვნილ უწყებებთან მიმართებაში გაცნობებთ სტატისტიკურ მონაცემებს მხილების ფაქტებთან დაკავშირებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა 6 მხილების ფაქტს, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში 8 მხილების ფაქტს.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეიმურაზ ჩიხრაძე

# საქართველო

22513-01-2-202307061235

**საგარეო საქმეთა სამინისტრო**

№ 01/22513
06/07/2023

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძეს**
მცხოვრები: [redacted]

**ბატონო ნიკოლოზ,**

საქართველოს პარლამენტიდან 2023 წლის 27 ივნისს შემოსულ №4974/2-7/23 (26.06.2023) წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი - 23393/01) დაკავშირებით, დანართის სახით, გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში მოძიებულ ინფორმაციას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ პერიოდში, სამინისტროს თანამშრომელთა წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) განმხილველი კომისია არ შეკრებილა, აღნიშნული კომისია გაუქმდა 2020 წლის 31 აგვისტოდან.

**დანართი**: 14 ფაილი.

პატივისცემით,
ირმა ქევხიშვილი

დეპარტამენტის დირექტორი
ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

№ 35549-01; 19/07/2019

35549-01-3-201907191828

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელს
**ბატონ ვახტანგ მახარობლიშვილს**

ასლი: საგარეო საქმეთა სამინისტროს
დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტს

ასლი: საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა
აუდიტის დეპარტამენტს

# განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 26/06/2012 N143 ბრძანებით (თან ერთვის), განისაზღვრება თანამშრომელთა მიერ წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) წარმოდგენა/ განხილვის საკითხები.

სწორედ, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი მაძლევს მოკრძალებულ უფლება/ საშუალებას წარმოგიდგინოთ ის იდეა, რომელიც პროტოკოლურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ამავდროულად ბოდიშს მოგიხდით იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ არასაკმარისი ცოდნის გამო ვერ შევძელი პროგრამის გრაფიკული მხარეების ჩვენება/ პროგრამული შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენა (თუმცა ინტერნეტ სივრცეში იძებნება არაერთი ანალოგიური პროგრამა, რომელთა შესწავლა პროგრამის სრულყოფილებას უფრო მეტად შეუწყობს ხელს).

პროტოკოლური საკითხების იდეის ინიცირება განპირობებული იქნა, ბათუმის კონფერენციაში ჩემი ჩართულობიდან საჭიროებების/ გამოწვევების დანახვით, რომელიც ღონისძიებას თან ახლდა[1]. განახლებული ინფორმაციის თავმოყრა და სიების კორექტირების საჭიროება, ღონისძიების უზრუნველყოფაში ჩართულ გარე პირთათვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროება, ადამიანური რესურსის სწორედ მიმართვის საჭიროება, არსებული კომუნიკაციის საშუალებების გამო, what's up მიღებული ყველა შეტყობინების გაცნობა (მიუხედავად იმისა, გზავნილის ადრესატი იყავი თუ არა) და ა.შ.

ჩემი არც თუ დიდი გამოცდილებით, ღონისძიებების დაგეგმვა/ განხორციელება შეიძლება ასევე უკავშირდებოდეს:

1. ღონისძიების შესახებ ხედვის შემუშავებას, რომლის დროსაც ხორციელდება ქვემოაღნიშნული საკითხების დაზუსტება
   - რა არის ღონისძიების ჩატარების ძირითადი/ საბოლოო მიზანი და სად/ როდის უნდა გაიმართოს იგი;
   - რამდენი პირი უნდა იქნეს მოწვეული/ მოზიდული ღონისძიებაზე დასასწრებად;
   - რა სახის შედეგის მიღება სურს ორგანიზაციას ხსენებული ღონისძიების ჩატარებით.

[1] ღონისძიების ფარგლებში ხელის შემშლელი ხელოვნური გარემოებების და პატივისა და ღირსების შემლახველი გარემოებების თაობაზე, განცხადებას დანართის სახით თან ერთვის ინფორმაცია.

2. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება იმ ძირითადი რესურსის განსაზღვრა, რომელიც ღონისძიების ორგანიზებისათვის არის საჭირო;
3. ღონისძიების ჩატარების განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირის (დირექტორი) მიერ დასახული მიმართულებების გათვალისწინებით (მაგ.: პროგრამის, შეხვედრების, აღჭურვილობის, მედია გაშუქების, ოფიციალურ პირთა და სტუმართა გამასპინძლების კოორდინატორები) შეიქმნება შესაბამისი ჯგუფები, რომელთა შორის ხორციელდება ინფორმაციის ინტენსიური გაცვლა/ დირექტიული ხასიათის მითითებების მიცემა (თათბირების ან უშუალო შეხვედრების გამართვის გზით);
4. შესაბამისი ჯგუფები უზრუნველყოფენ ღონისძიებაში პარტნიორების და მხარდამჭერების ჩართულობის ზრდას და მათგან საჭირო ინფორმაციის მოპოვებას;
5. საბოლოო სურათის მოპოვების შემდგომ, განსაზღვრება ის უზრუნველსაყოფი საჭიროებები, რომლის რესურსი სამინისტროს თავად არ აქვს;
6. სხვა სახის ქმედებები, რომლებიც თანმდევი იქნება, როგორც ღონისძიების მომზადების და მიმდინარეობის პროცესში.

სწორედ, რომ ზემოაღნიშნულ და სხვა აქტივობების ეფექტიანად განხორციელებას/ ღონისძიების სწორედ უკეთ მართვა შესაძლებელია ელექტრონული პროგრამების გამოყენებით, რა დროსაც უმჯობესდება როგორც მონაცემების დახარისხების, ასევე, ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა. საბოლოო ჯამში კი:

- იზოგება საბიუჯეტო სახსრები/ შრომითი რესურსი;
- უფრო ეფექტიანად ჩატარებული აქტივობა ქართული დიპლომატიის ავტორიტეტსაც ზრდის.

ამას გარდა, წარმოგიდგენთ ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის თანამშრომელთათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის კულტურულ და ისტორიულ ადგილებში ვიზიტისათვის საფასურისგან გათავისუფლებას. ხსენებული გარემოება კიდევ მეტად იქნება მასტიმულირებელი შესაბამის პირთა წრეში მოხდეს საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.

წარმოდგენილი საკითხებისადმი დაინტერესების შემთხვევაში, მზადყოფნას გამოვთქვამ მოვამზადო უფრო ვრცელი სახის პრეზენტაცია ანდა შესაბამის ჯგუფს მივაწოდო პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ჩემი ხედვები.

პატივისცემით,
ნიკოლოზ ნიკოლაძე

მრჩეველი

დანართი N3

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

Ministry of Foreign Affairs of Georgia

## თანამშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა

დეპარტამენტი: **საკონსულო დეპარტამენტი**
თანამდებობა: ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს **მრჩეველი**
სახელი, გვარი: **ნიკოლოზ ნიკოლაძე**

**იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:**

ქვეყნის კულტურის და შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით პერიოდულობით იმართება სხვადასხვა სახის ტურები *(მაგ.: კახეთის კულტურული ტური, სათხილამურო შეჯიბრი და ა.შ.)*.
ამასთან, საკმარისი ფინანსური რესურსის უქონლობის გამო, ზემოხსენებული სახის ღონისძიებები ვერ იძენს ხშირ და მაშტაბურ ხასიათს.
აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საჭიროებს სხვა მექანიზმების და საშუალებების გამოყენება, რომელიც გაზრდის შემეცნებით/ კულტურულ ტურებში საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური წარმომადგენლობების/ საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომელთა მონაწილეობას.
ამ მხრივ შესაძლებელია დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების მიმართ გამოყენებულ იქნეს წამახალისებელი ქმედებები, როგორიცაა სხვადასხვა კულტურულ და ისტორიულ ცენტრებში სერვისებისათვის (ვიზიტისათვის) დაწესებული საფასურებზე შეღავათების დაწესება.
მაგალითად, საფასურისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება:

- მუზეუმში შესვლისათვის, უცხო ენაზე გიდით მომსახურებისა ან/და ექსკლუზიური ტურის შეთავაზებისათვის;
- ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გასამართ სპექტაკლებზე დასწრებისათვის;
- საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისა და იქ არსებული სერვისებით სარგებლობისათვის;
- გარკვეულ შემთხვევებში ქვეყნის შიგნით გადაადგილებისას, მაგ.: სარკინიგზო ანდა საჰაერო ტრანსპორტით (მესტიის ან ამბროლაურის მიმართულებით).

**იდეის დადებითი შედეგები:**

დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლების ოჯახებთან ან/და კოლეგებთან ერთად კულტურულ/ შემეცნებით ღონისძიებებში ჩართულობით

- **სამინისტროს პრესტიჟის ამაღლება** - გაიზრდება სამინისტროს როლი და ფუნქცია დიპლომატიური კორპუსის თანამშრომელთა შორის მეგობრული და კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- **ქვეყნის პოპულარიზაციის ხელშეწყობა** - ზემოხსენებული სამიზნე ჯგუფების მიერ მეტი შთაბეჭდილებების შექმნა/ უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების თუ კერძო სექტორის წარმომადგენლებისადმი გაზიარებით, დამატებითი შესაძლებლობა შეიქმნება საქართველოს ტურისტული პოტენციალის განსავითარებლად;

- **საჭირო ღონისძიებების გამოვლენა** - გამოვლინდება უცხოელთათვის მეტად მიმზიდველი ტურისტული ადგილები, რაც სამინისტროს მიერ ღონისძიებებთან მიმართებით სამოქმედო გეგმის სწორ დასახვასაც შეუწყობს ხელს.

**იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:**

- საქართველოს შესაბამის ორგანიზაციებთან/ უწყებებთან შეთანხმებების მიუღწევლობა;
- შესაბამისი დიპლომატიური ბარათის შემუშავებისა და მათი ნიმუშის სახით დაგზავნისათვის საჭირო თანხის ვერ მოძიება.

**იდეასთან დაკავშირებული მხარეები:**
**(ჩამოთვალეთ დეპარტამენტები, რომელთა მუშაობაზეც იმოქმედებს აღნიშნული იდეის განხორციელება ან ჩართული იქნებიან იდეის განხორციელებაში)**

- ✓ **ადმინისტრაციული დეპარტამენტი**
  სახელმწიფო/ არა სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- ✓ **იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი**
  სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფა;
- ✓ **დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი**
  დიპლომატიური ბარათის ნიმუშის დამზადება/ მიწოდება;
  ბარათით გათვალისწინებული შეღავათების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება.

ხელმოწერა:

თარიღი: 19/07/2019

დანართი N3

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**

**Ministry of Foreign Affairs of Georgia**

თანამშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა

დეპარტამენტი: საკონსულო დეპარტამენტი
თანამდებობა: მრჩეველი
სახელი/ გვარი: **ნიკოლოზ ნიკოლაძე**

**იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:**

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს როლის ზრდიდან გამომდინარე, მეტი ყურადღება ექცევა სხვადასხვა სახის საერთაშორისო ღონისძიებების (ფორუმი, კონფერენციები და ა.) და საპროტოკოლო ქმედებების (მაგ.: ინაუგურაცია) სათანადო დონეზე ჩატარებას. ამასთან, ყოველ ასეთი საჭიროების შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება რესურსის მობილიზება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დელეგატთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება/ მიწოდება/ დამუშავება, ღონისძიებით გათვალისწინებული აქტივობების წარმატებით განხორციელების მონიტორინგი/ მართვა, ღონისძიების სათანადოდ გაშუქება და სხვა ქმედებები.
ზემოხსენებული ვითარების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, საკმაოდ რთული ხდება არსებული ადამიანური/ მატერიალური რესურსების და ინფორმაციის სწრაფი და სწორი მიმართვა. სწორედ, რომ ამ გამოწვევას შესაძლებელია გაუმკლავდეს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომლის მეშვეობით მოხდება:

- საჭირო რესურსის მეტი სიზუსტით გამოთვლა/ მათი მიმართვის უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო კამპანიისათვის დამატებითი პლატფორმის შექმნა;
- მოწვეულ სტუმართა მონაცემების ელექტრონულად მიღება (სააპლიკაციო ფორმების პროგრამულად შევსების გზით);
- პროგრამაში აკუმულირებული მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავება;
- ორგანიზატორებისათვის დავალებების/სამუშაო მიმართულებების განსაზღვრა/ მათი შესრულების მონიტორინგი;
- ორგანიზატორთა და სტუმართა შორის ელ. კომუნიკაციის პროგრამული უზრუნველყოფა;
- ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით ინსტიტუციური მეხსიერების შექმნა/ სხვადასხვა სახის რეპორტების პროგრამულად განხორციელება.

ამას გარდა, დაინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება:

- ღონისძიებაში სპიკერის/ მოდერატორის სტატუსით მონაწილე სასურველ პირთა, ასევე, ღონისძიებაზე დასწრების მიზნით მოწვეულ პირთა მონაცემების თავმოყრა;
- არა სასურველი მედია წარმომადგენლების და ექსპერტების შესახებ მონაცემების თავმოყრა;
- დელეგატთა სასაზღვრო/ სავიზო საკითხების მონიტორინგი;
- აკრედიტირებული მედია საშუალებებისა და დელეგატებისათვის პრეს რელიზების და სიახლეების დაგზავნა;
- ღონისძიების მიმდინარეობისას დელეგატთათვის სამუშაო პლატფორმის შექმნა,

რომლის საშუალებითაც შეეძლებათ:

- ✓ ღონისძიების მიმდინარეობისას კითხვების/ კომენტარების ელექტრონულად გაგზავნა. დასმულ კითხვებზე პასუხების მიღება/ დაბრუნება;
- ✓ პირდაპირი ტრანსლაციის ანდა შესაბამისი ვიდეო ბმულის ხელმისაწვდომობა;
- ✓ რიგი დელეგატების ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობა;
- ✓ სამუშაო პლატფორმაში იმ უცხოელთა ჩართვა, რომლებიც რიგი მიზეზების გამო ვერ დაესწრნენ ღონისძიებას.

**იდეის დადებითი შედეგები:**

- თითოეულ ღონისძიებათა მიმართ ინსტიტუციური მეხსიერების შექმნა/ შენახვა;
- ღონისძიების მიმართ არსებული შთაბეჭდილებების პირველწყაროდან შეტყობა;
- საბიუჯეტო სახსრების/ ადამიანური რესურსის დაზოგვა;
- მონიტორინგის და მენეჯმენტის გაუმჯობესებული მექანიზმები;
- ღონისძიების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა;
- სამინისტროს პრესტიჟულობის ამაღლება;
- შეუფერხებელი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი კომუნიკაციის მექანიზმები;
- ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების სისტემური უზრუნველყოფა;
- მონაცემების თემატური დოკუმენტირება/ მათი დაინტერესებულ პირთათვის ელ ფოსტით დაგზავნის შესაძლებლობა.

**იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:**

- პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ფინანსების მოძიება (ბიუჯეტი/ დონორი);
- კიბერ შეტევების რისკები, პროგრამის შეუფერხებელი ფუნქციონირებასთან მიმართებით.

**იდეასთან დაკავშირებული მხარეები:**

- დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი
  (ღონისძიების ორგანიზებისათვის გათვალისწინებული ყველა დეტალის განსაზღვრა);
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი
  საბიუჯეტო/ დონორი ორგანიზაციების თანხების მობილიზება/
  საქმის წარმოების პროგრამული საჭიროებების განსაზღვრა);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
  - ✓ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხედვების და წინადადებების წარმოდგენა;
  - ✓ პროგრამის გამოყენების სახელმძღვანელოს შემუშავება (ან პროგრამის შემმუშავებელი პირთა ჯგუფის მიერ).

ხელმოწერა:

თარიღი: 19/07/2019

37069-01-3-201907301715

№ 37069-01; 30/07/2019

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ **დავით ზალკალიანს**

**ასლი:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს

ამავე სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების მრჩევლის **ნიკოლოზ ნიკოლაძის**

# განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 26/06/2012 N143 ბრძანებით (თან ერთვის), განისაზღვრება თანამშრომელთა მიერ წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) წარმოდგენა/ განხილვის საკითხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ამჯერად წარმოგიდგენთ ინიციატივებს[1] ქვემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით:

1. საშობაო ბაზრობის (ტრადიციის) შემოღება;
2. კვლევითი საქმიანობის წახალისება;
3. შრომითი ინსპექტირების პროცესის დახვეწა.

1. **საშობაო ბაზრობა** - საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის თანამშრომელთათვის საშობაო მიღების (საშობაო ბაზრობის) გამართვა, რომელსაც ექნება რამდენიმე დატვირთვა/ შედეგი:
   - ქართული კულტურის და ტრადიციების პოპულარიზაციის ხელშეწყობა (სასურველია ემიგრაციაში მყოფი პირების ანდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა);
   - დიპლომატიურ კორპუსსა და სამინისტროს თანამშრომელთა შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება/ განვითარება;
   - უცხო სახელმწიფოთა ტრადიციული სამზარეულოს დევნილების ბავშვების მიერ დაგემოვნების შესაძლებლობა;

[1] წინა შემთხვევაში იდეა/ ინიციატივა წარმოდგენილი იქნა 19/07/2019 35549-01 განცხადებით, რომელიც ეხებოდა საპროტოკოლო ქმედებების საკითხებს. სასურველი იქნებოდა ჩემი განცხადებით წარმოდგენილი ინიციატივები განხილულ იქნას წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) განმხილველი კომისიის ფარგლებში (შემადგენლობის შესაბამისი ფორმით განახლება/ განსაზღვრის შემდგომ).

- ქველმოქმედება (ბილეთებიდან/ შემოწირულობებიდან შემოსული თანხა მიემართება წინასწარ დადგენილ რომელიმე საჭიროებას - სამიზნე ჯგუფები: კონფლიქტის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, დევნილები).

2. **კვლევითი საქმიანობა** - ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სასურველი იქნებოდა რიგ საკითხებთან მიმართებით მესამე პირებისათვის კვლევითი საქმიანობის დაკვეთა, რაც ასევე ხელს შეუწყობს:
   - საზოგადოების წარმომადგენელთა (სტუდენტები, სხვადასხვა მკვლევარები) ჩართულობის და კვალიფიცირებულ პირთა დაინტერესებას გაზრდას სამინისტროს საქმიანობაში;
   - თანამშრომელთა შრომითი და დროითი რესურსის დაზოგვას;
   - განსხვავებული აზრის ფორმირებას.
3. **სამსახურში შრომის დისციპლინის დაცვა**[2] - შინა განაწესით გასათვალისწინებელია თანასწორობის, პატივისცემისა და კოლეგიალობის პრინციპების დაცვაზე დაყრდნობით დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობის მოწესრიგება, ამასთან, წამახალისებელი ქმედებების დანერგვა, რაც სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებასა და სამინისტროს გამართული მუშაობას შეუწყობს ხელს.

წარმოდგენილი საკითხებისადმი დაინტერესების შემთხვევაში, მზადყოფნას გამოვთქვამ მოვამზადო უფრო ვრცელი სახის პრეზენტაცია ანდა შესაბამის ჯგუფს მივაწოდო პროექტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ჩემი ხედვები. ამავდროულად მოგმართავთ თხოვნით, საკითხის განხილვის (მათ შორის მიმდინარეობის) და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მაცნობოთ (შემდეგ მისამართზე: [redacted]; [redacted]

დანართი: თანახმად ტექსტისა.

პატივისცემით,
ნიკოლოზ ნიკოლაძე

მრჩეველი

---

[2] აღნიშნული განპირობებულია იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელობა რიგ შემთხვევებში დისკრიმინაციულად წყვეტს თანამშრომელთა შორის შრომით ურთიერობების საკითხებს. აღნიშნულის თაობაზე თანდართულ საინფორმაციო ბარათში მოცემული იქნება მოკლე ინფორმაცია.

# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
# ბრძანება

№ 143 "26" ივნისი 2012 ქ. თბილისი

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) წარმოდგენასა და განხილვასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) წარმოდგენისა და განხილვის წესი. (დანართი 1)
2. დამტკიცდეს წინადადების და ინიციატივების (იდეების) განმხილველი კომისიის შემადგენლობა. (დანართი 2)
3. დამტკიცდეს წინადადებების და ინიციატივების წარმოდგენის (იდეების) ფორმა. (დანართი 3)
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. ბუკია) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის დაგზავნა.
5. ეს ბრძანება ძალაშია 2012 წლის 1 სექტემბრიდან.

გრიგოლ ვაშაძე

*დანართი 1*

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) წარმოდგენისა და განხილვის წესი

მუხლი 1.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) წარმოდგენისა და განხილვის წესის (შემდგომში - წესი) მიზანია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის ზრდის ხელშესაწყობად წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) წარმოდგენისა და განხილვის პროცედურების დადგენა.

მუხლი 2.

1. წინადადებებსა და ინიციატივებს (იდეებს), რომელთა მიზანია სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება, წარადგენენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემის მოსამსახურეები და სტაჟიორები.

2. წინადადებებისა და ინიციატივების (იდეების) მიზანს უნდა წარმოადგენდეს:

ა) სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება;

ბ) საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევა;

გ) სამუშაოს შესრულების ხარისხისა და სტანდარტების გაუმჯობესება, ან სამუშაოს შესრულების დროის შემცირება;

დ) არსებული რესურსების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უფრო ეფექტურად გამოყენება ან დანაკარგებისა და დაზიანებების შემცირება;

ე) პროცედურების გამარტივება, დოკუმენტბრუნვის შემცირება;

ვ) მატერიალური ხარჯების დაზოგვა;

ზ) ახალი ორგანიზაციული ღირებულებების შექმნა.

3. წინადადებები და ინიციატივები (იდეები) არ უნდა წარმოადგენდეს:

ა) საჩივარს ან პრეტენზიას სამუშაო პირობებთან დაკავშირებით;

ბ) სხვა თანამშრომლების კრიტიკას;

გ) თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ წინადადებას (სასწავლო კურსები, სემინარები და სხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები).

მუხლი 3.

1. სამინისტროს სისტემის მოსამსახურეები და სტაჟიორები, რომელთაც გააჩნიათ წინადადებები და ინიციატივები (იდეები), ყოველი თვის ბოლომდე ამ ბრძანების N3 დანართით დადგენილი ფორმით წარუდგენენ მათ წინადადების და ინიციატივების (იდეების) განმხილველ კომისიას (შემდგომში - კომისია).

2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ამ ბრძანების N2 დანართით.

3. თითოეული წინადადების/ინიციატივის განხილვისას, მისი თემატიკის გათვალისწინებით, ამ ბრძანების N2 დანართით განსაზღვრულ პირთა გარდა, კომისიის გადაწყვეტილებით, კომისიის შემადგენლობაში წევრის სტატუსით მონაწილეობს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ქვედანაყოფების ხელმძღვანელი.

4. კომისია იკრიბება ყოველი თვის პირველიდან ხუთ რიცხვამდე, განიხილავს წინა თვის განმავლობაში მისთვის წარდგენილ წინადადებებსა და ინიციატივებს (იდეებს) და თითოეულ მათგანთან დაკავშირებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) წინადადების/ინიციატივის მოწონება და მის შესასრულებლად კონკრეტული დავალებების გაცემა;

ბ) წინადადების/ ინიციატივის შესრულების მიზანშეუწონლად ჩათვლა.

5. იმ შემთხვევაში, თუ კომისია ჩათვლის, რომ წარმოდგენილ წინადადებაზე/ინიციატივაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამატებითი ინფორმაცია ან არგუმენტაცია, კომისია ითხოვს წინადადების/ინიციატივის ავტორის ან/და შესაბამისი სტრუქტურულ ქვედანაყოფის/ქვედანაყოფებისაგან ასეთი ინფორმაციის/არგუმენტაციის წარმოდგენას.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია გადაწყვეტილებას იღებს მომდევნო სხდომაზე, შესაბამისი ინფორმაციის/არგუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

მუხლი 4.

1. წინადადების/ინიციატივის რეალიზების შემთხვევაში მისი ავტორის მიმართ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წახალისების ერთ-ერთი ზომა ან/და ეს გარემოება გათვალისწინებული იქნას სამსახურებრივი დაწინაურების საკითხის განხილვისას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას მოსამსახურის/სტაჟიორის მიერ წარდგენილი, რეალიზებული წინადადებებისა და ინიციატივების რაოდენობა ან/და ეფექტურობის ხარისხი.

**დანართი N 2**

## წინადადების და ინიციატივების (იდეების) განმხილველი კომისიის შემადგენლობა

| | |
|---|---|
| გრიგოლ ვაშაძე | მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე |
| ნინო კალანდაძე | მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე |
| ნიკოლოზ ვაშაკიძე | მინისტრის პირველი მოადგილე |
| დავით ჯალაღანია | მინისტრის მოადგილე |
| თორნიკე გორდაძე | მინისტრის მოადგილე |
| ლევან დავითულიანი | მინისტრის მოადგილე |
| სერგი კაპანაძე | მინისტრის მოადგილე |
| გიორგი გუგუნავა | ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი |
| ირაკლი ქოიავა | იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი |
| გელა ბუკია | ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი |
| თამარ კობერიძე | ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე |
| ანა ჯებირაშვილი | ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტი, კომისიის მდივანი |

შენიშვნა: თითოეული წინადადების/ინიციატივის განხილვისას, მისი თემატიკის გათვალისწინებით, ამ დანართით განსაზღვრულ პირთა გარდა, კომისიის გადაწყვეტილებით, კომისიის შემადგენლობაში წევრის სტატუსით მონაწილეობს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ქვედანაყოფების ხელმძღვანელი.

დანართი N3

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
Ministry Of Foreign Affairs Of Georgia

## თანამშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა

დეპარტამენტი: ______________________

თანამდებობა: ______________________

სახელი/გვარი: ______________________

იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:

| |
|---|
| |

იდეის დადებითი შედეგები:

| |
|---|
| |

იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:

| |
|---|
| |

იდეასთან დაკავშირებული მხარეები: (ჩამოთვალეთ დეპარტამენტები, რომელთა მუშაობაზეც იმოქმედებს აღნიშნული იდეის განხორციელება ან ჩართულნი იქნებიან იდეის განხორციელებაში)

| |
|---|
| |

ხელმოწერა: ____________________

თარიღი: ____________________

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

Ministry of foreign Affairs of Georgia

## თანამშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა

დეპარტამენტი: საკონსულო დეპარტამენტი

თანამდებობა: მრჩეველი

სახელი, გვარი: ნიკოლოზ ნიკოლაძე

**იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:**

სხვადასხვა ქვეყანაში პერიოდულად იმართება საშობაო ბაზრობები, სადაც მონაწილეობას იღებენ დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლები. ღონისძიების ფარგლებში ხდება სამზარეულოსა და კულტურის სხვა სფეროებში თავის წარმოჩინება. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება თუ იგი შეიძენს ჰუმანიტარულ ხასიათს და მიმართული იქნება დევნილი ბავშვებისადმი. კერძოდ:

1. ქალაქ თბილისის მერიასთან თანამშრომლობის გზით, გამოიყოფა სივრცე/ შენობა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დიპლომატიური კორპუსისთვის დახლების/ მაგიდების გამოყოფა, ასევე, შესაბამისი სცენების მოწყობა;
2. შერიგებისა და თანასწორობის საკითხთა სახელმწიფო მინის აპარატის მხარდაჭერით/ ხელშეწყობით, ორგანიზება გაუკეთდება სამიზნე ჯგუფების (კონფლიქტის ტერიტორიაზე მცხოვრები ან დევნილი არასრულწლოვანი პირების) პრობლემათა იდენტიფიცირებას და ქართული კულტურის და ტრადიციების წარმოჩენის შესაძლებლობას;
3. ღონისძიების პროგრამის შედგენას და აღნიშნულის საფუძველზე მონაწილეთა და სტუმართა დაშვების ორგანიზებას (აკრედიტაცია, ბილეთების გაყიდვა);
4. იმ პირთა და ორგანიზაციათა გამოკვეთას, რომლებიც შეძლებენ ქვეყნის კულტურის და სამზარეულოს წარმოჩენას (ტრადიციული სამოსი, სუვენირები, ტკბილეულობა, ქართული კერძები და სასმელები, ფოლკლორი და ქორეოგრაფია და ა.შ.);
5. შეთავაზების გაკეთება/ მოწვევა დიპლომატიური კორპუსის/ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელთათვის საკუთარი კულტურის/ სამზარეულოს წარმოჩენის შესახებ;
6. შეთავაზების გაკეთება დიპლომატიური კორპუსის/ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელთათვის სიმბოლურად Secret Santas ში მონაწილეობის მიღების მიზნით;
7. ღონისძიება წარიმართება სხვადასხვა გამოჩენილი პირის/ საზოგადო მოღვაწის/ ელჩის მიერ, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ ქველმოქმედებით მიღებული თანხის ფონდში (სპეციალურ საბანკო ანგარიშზე) აკუმულირებას.

**იდეის დადებითი შედეგები:**

- ქართული კულტურის და ტრადიციების პოპულარიზაციის ხელშეწყობა (სასურველია ემიგრაციაში მყოფი პირების ანდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა);
- დიპლომატიურ კორპუსსა და სამინისტროს თანამშრომელთა შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება/ განვითარება;
- უცხო სახელმწიფოთა ტრადიციული სამზარეულოს დევნილების ბავშვების მიერ დაგემოვნების შესაძლებლობა;
- ქველმოქმედება (ბილეთებიდან/ შემოწირულობებიდან შემოსული თანხა მიემართება წინასწარ დადგენილ რომელიმე საჭიროებას - სამიზნე ჯგუფები: კონფლიქტის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, დევნილები).

**იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:**

- იდეის ფინანსური მხარდამჭერი პირის/ ორგანიზაციის და ღონისძიების ჩატარებისათვის შესაბამისი სივრცის ვერ მოძიება

**იდეასთან დაკავშირებული მხარეები:**

✓ **ადმინისტრაციული დეპარტამენტი**

უზრუნველყოფს:

- დონორი ორგანიზაციის მოძიება (ლოგისტიკური მხარის უზრუნველყოფად);
- საშობაო ბაზრობისთვის შესაფერისი ადგილის პოვნა/ ქ. თბილისის მერიასთან თანამშრომლობა;
- ფონდის და ბილეთების შესაძენად საბანკო ანგარიშის შექმნა/ შეგროვებული თანხის სამიზნე ჯგუფებისადმი მიმართვა.

✓ **დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი**

უზრუნველყოფს:

- საშობაო ბაზრობის პროგრამის შემუშავებას და გავრცელებას;
- დაინტერესებულ პირთა აკრედიტაციას, ბილეთების გაყიდვის ორგანიზებას
- საქართველოს შესაბამისი უწყებების/ სამიზნე ჯგუფების ჩართულობას;
- დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა/ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელთა მოწვევას.

**ხელმოწერა:**

**თარიღი: 29/07/2019**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

Ministry of foreign Affairs of Georgia

## თანმშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა

დეპარტამენტი: **საკონსულო დეპარტამენტი**

თანამდებობა: **მრჩეველი**

სახელი, გვარი: **ნიკოლოზ ნიკოლაძე**

**იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:**

საგარეო საქმეთა სამინისტროს აკისრია რა მნიშვნელოვანი როლი საგარეო პოლიტიკის შემუშავება/ განხორციელების კუთხით, აუცილებლობა დგება სრულყოფილად ფლობდეს და აფასებდეს საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებს. ამ მხრივ გასათვალისწინებელია სამინისტროს საშტატო რიცხოვნობის სიმწირე, საჭიროებების და გამოწვევების გასამკლავებლად.

აღნიშნული გარემოება შესაძლებელია გარე რესურსების გამოყენების საფუძველი გახდეს, კერძოდ კი რიგ საკითხებთან (სამინისტროს მიერ წინასწარ განსაზღვრული თემატიკით) მიმართებით კვლევების დაკვეთა (მასში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (მაგისტრი, დოქტორანტი) კურსდამთავრებულები და მოცემულ სფეროში მოღვაწე ექსპერტები. შესაძლებელია, განხორციელდეს საუნივერსიტეტო კვლევა, მხარეთა შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, რა დროსაც საგანმანათლებლო დაწესებულებები კონფერენციებს, სხვადასხვა სახის სიმპოზიუმებს თუ კვლევებს მოაწყობენ სამინისტროს მიერ დასახული სფეროების შესაბამისად.

**იდეის დადებითი შედეგები:**

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა, მეცნიერთა, მკვლევართა ჩართულობის და კვალიფიცირებულ პირთა დაინტერესების გაზრდა სამინისტროს საქმიანობაში;
- კვალიფიციური კადრების გამოვლენა და სამინისტროს საქმიანობაში შემდგომი ჩართულობით დაინტერესება (სტაჟირება, კონკურსებში მონაწილეობა და ა.შ.);
- სამინისტროს თანამშრომელთა შრომითი და დროითი რესურსის დაზოგვა;
- განსხვავებული აზრის ფორმირება და მისი გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- სამინისტროს სახელით (მათ შორის დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით), საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ბეჭდური ან ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის გამოშვების შესაძლებლობა.

**იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:**

| |
|---|
| - კვლევის ფარგლებში შესაბამისი კვალიფიკაციის/ გამოცდილების მქონე და პოლიტიკური წარსულის/ კავშირების არმქონე პიროვნების ვერ შერჩევა;<br>- დონორი ორგანიზაციის მოძიება/ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის ვერ მოპოვება. |

**იდეასთან დაკავშირებული მხარეები:**

| |
|---|
| **ტერიტორიული და ფუნქციონალური დეპარტამენტები**<br>- სამინისტროს საჭიროებების და გამოწვევების შესახებ, საკითხთა ნუსხის შემუშავება.<br>**ადმინისტრაციული დეპარტამენტი**<br>- თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება;<br>- დონორი ორგანიზაციის მოძიება<br>- ბეჭდური გამომცემლობისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა<br>**ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი**<br>- კვლევითი საქმიანობისათვის განსაზღვრული სტანდარტების და კრიტერიუმების შემუშავება;<br>- კვლევის შესახებ საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა;<br>- დაინტერესებულ პირთა განაცხადების გადარჩევა, კონკურსში მონაწილე პირთა დასაშვებობის საკითხის განხილვა/ გადაწყვეტა;<br>- კვლევით საქმიანობაში გამარჯვებული პირთა დაჯილდოება.<br>**დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი**<br>- ნაშრომების შეფასებისათვის შესაბამისი მექანიზმის/ პროცედურის შემუშავება (ელექტრონული ფორმით ხმის მიცემის ანდა კომისიური განხილვის გზით);<br>- შერჩეული საუკეთესო ნაშრომების და ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის უზრუნველყოფა და მისი დაინტერესებულ პირთა შორის გავრცელება (დიპლომატიური წარმომადგენლობებისათვის და ბიბლიოთეკებისათვის მიწოდება, სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსება და სხვ). |

**ხელმოწერა:**

**თარიღი: 30/07/2019**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

Ministry of foreign Affairs of Georgia

## თანმშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა

დეპარტამენტი: **საკონსულო დეპარტამენტი**

თანამდებობა: **მრჩეველი**

სახელი, გვარი: **ნიკოლოზ ნიკოლაძე**

**იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:**

სამინისტროში ამჟამად მოქმედი შინა განაწესის შესაბამისად, უშუალო უფროსის გადასაწყვეტი ხდება წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლა/ არ ჩათვლა, რაც არაერთგვაროვან მიდგომებს წარმოშობს მენეჯერულ პოზიციებზე მყოფ პირთა სიმრავლისა და მათი შეხედულებების გათვალისწინებით. ამასთან, შინაგანაწესი მკაფიოდ არ განსაზღვრავს იმ პირს, რომელიც წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია იმსჯელოს გაცდენილი დროის საპატიოდ ჩათვლა/ არ ჩათვლასთან დაკავშირებით, რაც კიდევ მეტად ბუნდოვანს ხდის თანამშრომლებთან მიმართებით ერთიანი მიდგომების დანერგვის შესაძლებლობას (ერთი და იგივე პერიოდში, რაც ერთისთვის საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს, მეორე პირისათვის არა საპატიოდ შეიძლება გახდეს.

მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სასურველი ხდება ასეთი შემთხვევების განხილვა/ გადაწყვეტა მოხდეს ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ, რომელსაც საჭიროებისამებრ მიეწოდება სამუშაოს გამცდენი მოხელის უშუალო უფროსის პოზიცია და ფაქტთან დაკავშირებული გარემოებები: თავმოყრილი განცხადებების პერიოდულად გადაგზავნის გზით).

საგულისხმოა ის, რომ სამართლებრივი ნორმით ასევე არ არის განსაზღვრული:

- საპატიო მიზეზით სამსახურიდან გათავისუფლების გარემოებები (სხვა დაწესებულებაში ლექციაზე დასწრება ან/და სალექციო კურსის წაკითხვა, ორსულობა, მოხელის ან მისი ახლო ნათესავის მძიმე ავადმყოფობა, ახლო ნათესავის წევრის გარდაცვალება და სხვ.) და გადაწყვეტილების მიმღები პირები;
- სამსახურში გამოუცხადებლობის, ან სამუშაო საათების განმავლობაში სამსახურის, ან ადმინისტრაციული შენობიდან გასვლის შესახებ

უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულისათვის შეტყობინების წესი;

- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან კალენდარული თვის ან წლის განმავლობაში განთავისუფლების პერიოდულობა[1] და სამსახურისგან დროებით განთავისუფლების წესი;
- სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით შეღავათების საფუძველი და გარემოებები (მაგ.: სკოლამდელი ასაკის ბავშვის ყოლა და ა.შ.)
- სამსახურში დაგვიანებულად გამოცხადების მისაჩნევი პერიოდი, მისი ინტენსიურად განხორციელების შემთხვევაში გასატარებელი სანქციები;
- არა საპატიოდ გაცდენილი სამუშაოს შემთხვევაში განსაზღვრული სანქციები;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის დამატებითი დასვენების დროის განსაზღვრის შესაძლებლობა.

გარდა იმისა, რომ ზემოხსენებული საკითხის არ დარეგულირებით იქმნება თანამშრომელთა შორის შესაძლებლობების არასწორი აღქმა და აღნიშნული ხელს უშლის სამსახურში შრომის დისციპლინის სათანადოდ დაცვის შესაძლებლობას.

ამას გარდა, მიზანშეწონილია წამახალისებელი ქმედებების (მადლობის გამოცხადება ან შეღავათების მომავალი წლისთვის განსაზღვრა - Day off) იმ პირთა მიმართ, რომელთაც არ უფიქსირდებათ (საანგარიშო წლის განმავლობაში) სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება ანდა სამუშაო საათების არასაპატიოდ/ თვითნებურად შემცირება.

შესაბამისად, მიზანშეწონილია უფლებამოსილ პირთა შეხედულებების/ სხვა უწყებების გამოცდილების გაზიარების გზით ახალი სამართლებრივი აქტის მიღება (ან არსებულში ცვლილებების შეტანა)[2]. ასევე, ტურნიკების პროგრამის განახლება (შესაძლებლობიდან გამომდინარე სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელისათვის მონიტორინგის უკეთ წარმოების შემთხვევაში ყოველდღიურ რეჟიმში გამოუცხადებლობის/ სამუშაო საათების შემცირების შესახებ შეტყობინების განხორციელების გზით).

**იდეის დადებითი შედეგები:**

სამუშაო საათების გაცდენის საპატიო გარემოებებად მიჩნევის და წამახალისებელი ქმედებების შემოღებით, სტიმულირებული იქნება მოხელის მიერ სამუშაო დროის

---

[1] 16549-01; 10/04/2018 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც თვის განმავლობაში სამ ან მეტ შემთხვევაში სამსახურში დროულად არ გამოცხადდებიან, ან სამუშაო საათებს თვითნებურად შეამცირებენ ან და სამსახურს არასაპატიო მიზეზით გააცდენენ განხორციელდება დისციპლინური ღონისძიებანი

[2] იხ. ბმულები (სხვადასხვა უწყების შინაგანაწესები):

- https://sao.ge/legislation/internal-regulation;
- http://nfa.gov.ge/ge/chven-shesaxeb1/shinaganawesi-121
- http://gov.ge/files/331_38472_944984_N298(shinaganacesi).pdf
- http://fondi.gov.ge/uploads/2013/12/%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%981.pdf
- http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cae20d4ba1b7-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-20.08.2018-pdf.pdf
- http://prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/shinaganawesi20190130.pdf
- http://ssps.gov.ge/res/docs/2018071014593621082.pdf
- http://prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/shinaganawesi20190130.pdf

ორგანიზებულად და კეთილსინდისიერად გამოყენება.
ამას გარდა, ლიმიტირებული ქმედებები უზრუნველყოფს თანამშრომელთა შორის თანასწორი უფლებების შეგრძნებას და მეტად ეფექტურს გახდის შრომის დისციპლინის დაცვას.

**იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:**

თანამშრომელთა შორის შინაგანაწესით დანერგილი სიახლეების უარყოფითი აღქმა;
ტურნიკების პროგრამის განახლებასთან დაკავშირებით სახსრების ვერ მოძიება.

**იდეასთან დაკავშირებული მხარეები:**

**შიდა აუდიტის დეპარტამენტი**

- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების პრაქტიკების შესწავლა;
- შინა განაწესის პროექტით განსაზღვრული საკითხების/ მონაცემთა მონიტორინგის მექანიზმების შექმნა.

**ადმინისტრაციული დეპარტამენტი**

- პროგრამის გარდაქმნასთან დაკავშირებული სახსრების მოძიება/ გამოყოფა;

**საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური**

- არსებული საჭიროებების და გამოწვევების გათვალისწინებით, ტურნიკების პროგრამულ განახლებასთან დაკავშირებით მონახაზის/ პროექტის შემუშავება

**იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი**

- ახალი სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების უზრუნველყოფა.

**ხელმოწერა:**

**თარიღი: 30/07/2019**

27463-01-3-202008071809

**№ 27463-01; 07/08/2020**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ **დავით ზალკალიანს**

ასლი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს:

- ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტი,
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი,
- პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;
- სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი,
- საკონსულო დეპარტამენტი;
- დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი;
- საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი;
- პოლიტიკური დეპარტამენტი;
- დიპლომატიურ და კვლევით სასწავლო ინსტიტუტი

ამავე სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს მრჩევლის **ნიკოლოზ ნიკოლაძის**

# განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 26/06/2012 N143 ბრძანების (თან ერთვის) შესაბამისად, დამტკიცებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ წინადადებების და ინიციატივების (იდეების) წარდგენისა და განხილვის წესი. სწორედ ხსენებული სამართლებრივი აქტის საფუძვლად ჯერ კიდევ გასული წლის განმავლობაში რამდენჯერმე წარვუდგინე საგარეო პოლიტიკური უწყებას რამდენიმე ინიციატივა (თან ერთვის 19/07/2019 35549-01 და 30/07/2019 37069-01 განცხადების ასლები), რომლის კომისიის მიერ განხილვა და მისი შედეგები (მათი მოწონების ან/და მიზანშეუწონლად მიჩნევის შესახებ) დღემდე არ უცნობებია ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს (როგორც კომისიის სამდივნოს). დამატებითი განმარტებების საჭიროების შემთხვევაში, მზადყოფნას გამოვთქვამ უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოვადგინო ზემოხსენებული ინიციატივების შესახებ, რომელთა შორის უპირველეს ყოვლისა გამოვყოფდი საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის თანამშრომელთათვის ყველა მუზეუმსა და სხვა ისტორიულ ადგილებში ვიზიტისათვის საფასურისგან გათავისუფლების ინიციატივას (როგორც ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობის ერთ-ერთი მექანიზმი). ამჯერადაც (პანდემიით გამოწვეული სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით) წარმოგიდგენთ იდეებს/ ინიციატივებს, რომელიც ვფიქრობ, რომ სამინისტროს (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების) ფუნქციების შესრულებას მეტად ეფექტიანს და მოქნილს გახდიდა, დასახული ამოცანების შესრულება ხარჯვით ეფექტიანი იქნებოდა.

1. საჯარო ინფორმაციის გაცემა სტრატეგიული კომუნიკაციების ფარგლებში:

- დღეს არსებული რეგულაციების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე უფლებამოსილება სამინისტროში განსაზღვრული აქვს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს. ამასთან, ხსენებული სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულების გათვალისწინებით, დეპარტამენტს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ამოცანები და ფუნქციები არ აქვს განსაზღვრული[1] (სავარაუდოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არის დაკისრებული ხსენებული პასუხისმგებლობა). აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსი მდგომარეობს საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. ინფორმაციის გაცემის პრინციპი არ მოითხოვს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც საკითხის განსაკუთრებულ სამართლებრივი სახით დამუშავებას საჭიროებდეს.

    - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი[2] მოითხოვს შემდეგი სახის პროცედურების განხორციელებას: ინფორმაციის მოთხოვნა, ღიაობის წესების დაცვის გადამოწმება, შიდა ბიუროკრატიული დადასტურება, იდენტიფიცირება და დოკუმენტების მომზადება (შესაძლებლობის ფარგლებში მოდიფიცირება, მაგალითისთვის რედაქტირება), საჭიროებისამებრ საფასურის გადახდა და რეესტრის წარმოება.

- ცხადია, რომ უწყების მიერ ინფორმაციის დამუშავების დასკვნითი ეტაპი მოიცავს გამჭვირვალობის უზრუნველყოფის შესაძლებლობის/ აუცილებლობის შეფასებასაც, რაც თავისთავად უფრო მეტად სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის კომპეტენციასთან უნდა გაიგივდეს. დიდია ალბათობა იმისა, რომ შეუთანხმებელმა ქმედებამ სტრატკომის მიერ შემუშავებული პოზიციისგან განსხვავებული მოსაზრება დააფიქსიროს სამინისტროს სხვა სტრუქტურულმა ერთეულმა (სავარაუდოა იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტს საგარეო პოლიტიკური საკითხებისადმი ხედვის შესახებ ინფორმაციის არ ფლობაც). სწორედ ამიტომ, არაერთგვაროვანი პოზიციების გაჟღერების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფის დაკავშირება ხსენებულ დეპარტამენტთან, რომელსაც დებულებით საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე საკომუნიკაციო გზავნილების შემუშავება/ გავრცელება და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე სამეცნიერო, დონორ, კვლევით და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ევალება (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ხშირ შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ კვლევის განხორციელებას უკავშირდება). აქვე, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის შექმნიდან გამომდინარე, მათთვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრის ტენდენციები გაჩნდა [3]. ასე, მაგალითად: საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში[4], ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით. სასურველი იქნებოდა შესაბამის

---

[1] იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1009648?publication=0

[2] იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=36

[3] არც თუ იშვიათია ხსენებული ფუნქციის სხვა უწყებების მიერ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფარგლებშიც განსაზღვრა;

[4] მაგ.: სტრატეგიული კომუნიკაციების დებულების მე-2 მუხლის თანახმად, მის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და ამ მიზნებით სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა და შესრულების მონიტორინგი, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სისტემის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა;

დეპარტამენტში იურიდიული კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევაც (სამინისტროს სხვა ქვედანაყოფებისათვის, საჭიროებისამებრ, შესაბამისი კონსულტაციის გაწევის მიზნით).

**2. მიგრაციის დირექტორატის შექმნა:**

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში უკვე გხვდება ორი პრეცედენტი, როდესაც შექმნილია დირექტორატის სტრუქტურული ერთეული - ევროინტეგრაციის და საინფორმაციო კომუნიკაციის მიმართულებით. სავარაუდოა, რომ ხსენებული გადაწყვეტილება თავისთავად კოორდინაციის მექანიზმის და ნაყოფიერი შედეგების გაზრდასაც უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა, ვფიქრობ, რომ მსგავსი ფორმით დეპარტამენტების გაერთიანება სასურველ შედეგს გამოიღებდა საკონსულო და დიასპორის შეკავშირების შემთხვევაშიც.

  - <u>ცნობისათვის:</u> საქართველოს 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიით დიასპორასთან კავშირების გაღრმავება და საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა ერთი მიზნის ქვეშ არის მოქცეული.

- თვითონ დიასპორის/ თანამემამულის სტატუსის განსაზღვრებას, თავისი არსით შესაძლებელია მოიცავდეს საზღვარგარეთ მცხოვრებ არა მხოლოდ წარმოშობით ქართველ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, არამედ საქართველოს მოქალაქესაც. ამ ვითარების გათვალისწინებით, ხსენებული მიმართულებით მომუშავე პირებს წლების განმავლობაში უწევთ შეხება იმ პრობლემებთან და მათ გადაწყვეტასთან, რომელიც საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას უკავშირდება, იქნება ეს კონსულტაციის გაწევის, იდენტიფიცირებული პრობლემიდან გამომდინარე კონკრეტული დახმარების შუამდგომლობა/ ინიცირებით თუ სხვა სახის ქმედებით. საქართველოს საგარეო საქმეთა 16/02/2017 N01-27 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 1-ლი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დიასპორასთან ურთიერთობების დეპარტამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ემიგრანტების უფლებების დაცვა. სამიზნე ჯგუფებთან სწორედ ასეთი ხელშემხლობის შედეგად უნდა ჩავთვალოთ თუგინდ 2016 წლის დასაწყისში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ინიციატივა ცხედრის საქართველოში გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით[5] (ფუნქციურად ხსენებული საკითხი საკონსულო დეპარტამენტის/ საკონსულო თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას წარმოადგენს). გამოსაყოფია პანდემიით გამოწვეული რთული პერიოდი, რა დროსაც საკონსულო დახმარების ფარგლებს გასცდებოდა დიასპორის თითოეული წარმომადგენლის მიერ თანამემამულეების დახმარება და მათი გვერდში ყოფნა[6] (და ამ პროცესში დიპლომატიური თანამდებობის პირების მიერ კოორდინაციის უზრუნველყოფა). მრავლად იქნებოდა შემთხვევები, როდესაც მათ ხელთ არსებული რესურსით/ კავშირებით შეძლებდნენ ადგილსამყოფელ ქვეყანის შესაბამის ორგანოებთან საქართველოს მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას. დიასპორის საკითხებთან მიმართებით შესაბამისი სტრუქტურის საქმიანობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით საყურადღებოა. ბოლო პერიოდში განხორციელებულ „მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD)“ მხარდაჭერით შემუშავებული - „იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის გზამკვლევი“, ერთ-ერთ წარმატებულ

---

იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/document/view/4200643?publication=0.

[5] იხ. ბმულები: https://ipress.ge/new/premieri-utskhoethshi-garda-2/ https://www.youtube.com/watch?v=9wbAFL_K3MQ

[6] იხ. ბმული: https://1tv.ge/news/davit-zalkaliani-diasporis-warmomadgenlebs-damoukideblobis-dres-ulocavs-da-globaluri-pandemiis-dros-mxardaweristvis-madlobas-uxdis-video/

პროექტად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც პანდემიიდან გამომდინარე იტალიის ხელისუფლების მიერ უცხოელთა ლეგალიზაციასთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე დიასპორის დეპარტამენტის მყისიერი რეაგირების შედეგია. საზღვარგარეთ მყოფი საკონსულო თანამდებობის პირთათვის საქართველოს მოქალაქეთა დაშავების, დაზარალების, გარდაცვალების ან/და თავისუფლება აღკვეთის შესახებ დამატებითი ან/და ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დიასპორული ორგანიზაციები. დროული ინფორმაციულობა მნიშვნელოვნად განაპირობებს სამართლებრივი დაცვის ხარისხსაც (მითუმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს ადგილსამყოფელი ქვეყნის ბიუროკრატიულ მექანიზმებთან). ასევე ვხდებით საკონსულო ინფორმაციის გავრცელებაში დიასპორული ორგანიზაციების მხარდაჭერასაც. გასათვალისწინებელია, რომ დიასპორული ორგანიზაციების მეშვეობით შესაძლებელია არასრულყოფილი საკონსულო მომსახურების/ დახმარების იდენტიფიცირებაც, მათი რესურსის გამოყენება feedback მხრივ. დღეს არსებულ ვითარებაში საკონსულო საქმიანობის ხარვეზები ძირითადში ფიზიკური პირის მიერ სამინისტროში შემოტანილი საჩივრითაა შესაძლებელი, რომ დადგინდეს (მიუხედავად იმისა, რომ საკონსულო ფუნქციების ხარისხზე გულისწყრომას ემიგრანტთა შორის ხშირად ვაწყდებით). ასეთი ინფორმაციის ფლობაც (დიასპორასთან კავშირში მუდმივად ყოფნა), ხელს შეუწყობს საკონსულო საქმიანობის გაუმჯობესების პროცესს.

- ზემოაღნიშნულის და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნით გათვალისწინებული ამოცანების მეტი ეფექტიანობით შესრულების მიზნით, სათანადო (საერთო) ხედვის შემუშავებისა, ინფორმაციის გაზიარების მექანიზმის სრულყოფისა და სამომავლო გეგმების კოორდინირებულად შემუშავების/ ძალისხმევის მიმართვის სისტემური ხასიათის მიცემის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დიასპორის და საკონსულო დეპარტამენტების ერთი დირექტორატის (სასურველი სახელწოდება - მიგრაცია) ქვეშ მოქცევა.

**3. დიპლომატის თვალით დანახული ადგილსამყოფელი ქვეყანა:**

<u>დიპლომატის თვალით დანახული ქვეყანა:</u>

- როტაციის წესით სამუშაო მივლინების პერიოდში, დიპლომატიური წარმომადგენლობების/ საკონსულო დაწესებულების თანამშრომელთათვის ერთ-ერთ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოსახლეობასთან/ საზოგადოების წევრებთან დაახლოება/ დამეგობრება. საზოგადო მოღვაწეთა შორის დადებითი შთაბეჭდილებების შესაქმნელად, უპირველეს ყოვლისა ადგილსამყოფელი ქვეყნის მოსახლეობის და მისი კულტურის/ ტრადიციების შეცნობითა და მისი წარმოჩინება არის საჭირო. მოცემული ამოცანის მისაღწევად ნებისმიერი ინსტრუმენტის გამოყენება გამართლებულია, მათ შორის თუ იგი ფოტოხელოვნებას ეხება. კულტურათაშორისი გააზრების წარმოჩენა მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი გამოფენების მოწყობითაც, რომელიც ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოღვაწე დიპლომატიურ კორპუსთან/ სახელმწიფო მოღვაწეებთან არაფორმალურ ვითარებაში დაახლოების კიდევ ერთი დამატებითი საშუალება იქნება. დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელთა (მათ შორის ხელმძღვანელიც) მიერ გადაღებული ფოტოებით ნაჩვენები იქნება ადგილსამყოფელი ქვეყანა და მისი ხალხი განსხვავებული/ უნიკალური მხრიდან. საუკეთესოდ შეფასებული ფოტო მასალის



შემდგომი გავრცელება შესაძლებელი იქნება სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე შესაბამისი რუბრიკის ქვეშ (დიპლომატის თვალით დანახული სამყარო). თავისთავად ზოგადი ხასიათის ინსტრუქციის შემუშავება ან/და დამწყები ფოტოგრაფისათვის განკუთვნილი ფოტოგრაფიის კურსების სასწავლო ცენტრის ფარგლებში დიპლომატებისათვის შეთავაზება ურიგო არ იქნებოდა.

- თავისთავად მოცემული კონკურსის დაორგანიზება (გამოფენაში მონაწილეობის შეთავაზება) საქართველოში მოღვაწე დიპლომატიური კორპუსისთვის/ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა. ხსენებულის ფარგლებში მათ საშუალება ექნებათ ფოტოგრაფიის გზით გაუზიარონ ის შთაბეჭდილებები, რომელიც საქართველოს მიმართ დარჩათ. გამარჯვებული სპეციალურად შერჩეული კონკურსის ჟიურის მიერ გამოვლინდება რამდენიმე ნომინაციაში (კულტურული მემკვიდრეობის, საზოგადოების და კონფლიქტური სიტუაციების მიმართულებებით), ხოლო გამარჯვებულის დაჯილდოება (სიგელის ან/და სხვა სიმბოლური ნივთის გადაცემა) კი მიზანშეწონილია გაიმართოს საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვან დღეს. მაგ.: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ან/და ქართული დიპლომატის დღეს. შესაძლებელია ფოტო მასალის შემდგომი გამოყენებაც, მაგ.: ვებ გვერდზე მოძრავ Cover Photo-დ ჩასმა ავტორის ვინაობის მითითებით (საქართველოს საელჩოებს მათი ადგილსამყოფელის გათვალისწინებით მიეწოდოთ შესაბამისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ფოტოები, რომლებიც ნომინაციაში იქნა შერჩეული) ან/და გამორჩეული მასალის ჟურნალის სახით გამოცემა/ გავრცელება. <u>ცნობისათვის:</u> ფოტო კონკურსის პრაქტიკას ვხდებით იაპონიაშიც[7], რომლის ტრადიცია რამდენიმე ათწლეულს ითვლის.

- <u>**დიპლომატის ერთი სამუშაო დღე:**</u>
- დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის შესაბამისად, როტაცია წარმოადგენს სამინისტროს, დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირთა ურთიერთშენაცვლებას. საყურადღებოა, რომ სამინისტროს დიპლომატიური სამსახურის ბოლო წლების გაახალგაზრდავების ტენდენციების პირობებში, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოცემულ წელიწადს მნიშვნელოვან ოდენობას დიპლომატიური თანამდებობის პირებისა უწევთ საზღვარგარეთ სამუშაოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის ცვლილებისას კარიერული დიპლომატისთვის კი გარკვეული უხერხულობის ან/და განცდების მომგვრელიც შეიძლება იყოს მივლინებისათვის შემზადება. გამგზავრებამდე ცდილობს ნაცნობ/ კოლეგებთან გამოარკვიოს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული სიტუაციები, იქნება ეს დაკავშირებული მოწყობასთან, საყოფაცხოვრებო პირობებთან, სამუშაო რეჟიმთან, ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებულ ადათ წესებთან თუ სხვა რამესთან დაკავშირებული. მართალია თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის ინტერნეტ ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს, თუმცა მეგობრის მიერ აღწერილი გარემო ბევრად დამაჯერებლად და სანდოდ აღიქმება ყოველთვის.
- ამ პროცესში, მინდა შემოგთავაზოთ იდეა, რომელიც უკავშირდება სამუშაო მივლინების პერიოდში/ როტაციის დასრულების წინა პერიოდში შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ 10-15 წუთიანი ვიდეოს გადაღებას/ სამინისტროსათვის წარმოდგენას. ვიდეოში აღწერილი იქნება ქართველი დიპლომატის ერთი დღე, სადაც სიუჟეტურად აღწერილი იქნება, როგორც უშუალოდ სამუშაო პროცესი (როგორც შენობის შიგნით ან/და გარეთ განხორციელებული ქმედებები), ასევე, სამუშაო

---

[7] იხ. ბმულები: https://www.youtube.com/watch?v=VIB1eRd61cg; https://www.diplomatseyes.com/about/

პროცესის შემდგომ გატარებული პერიოდი (დასვენება, ჰობი, ადგილსამყოფელი ქვეყანაში მოგზაურობა, ადგილობრივებთან მეგობრობა და კულტურული მემკვიდრეობა, საყოფაცხოვრებო სირთულეები და ა.შ.). მოცემულ იდეისთვის შესაძლებელია სხვა გაგრძელების მოძებნა, საახალწლო ღონისძიებაზე საუკეთესო ფილმების ჩვენება (სუბტიტრებითურთ უცხოელი მაყურებლებისთვის), საუკეთესოს ავტორის დაჯილდოება და საჭიროებისამებრ კი დიპლომატის ცხოვრების ვიდეოებიდან შესაბამისი სიუჟეტური ფილმის შექმნა და მედია საშუალებებით გავრცელება ხელს შეუწყობს დიპლომატიური სამსახურისადმი ცნობადობის გაზრდას/ კვალიფიციური კადრების დაინტერესებას და მოზიდვას (ხსენებული არ მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯს და არქივში დაცული კადრები წლების შემდგომ ბევრი სახალისო და შთამბეჭდავი ისტორიის მთხრობელიც შეიძლება გახდეს კოლეგებისთვის/ მომავალი თაობისთვის.

**4. მესამე პირებთან კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის ზრდა**

- ❖ **<u>თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (Chat bot)</u>**
- მიმდინარე წელს კორონა ვირუსის გავრცელებას მოჰყვა სახელმწიფოთა მიერ სახელმწიფო საზღვრების დაკეტვა, რის შედეგადაც უამრავი მოქალაქე აღმოჩნდა რთულ ვითარებაში. პანდემიის დროს საზღვარგარეთ მყოფ მილიონამდე საქართველოს მოქალაქისათვის კიდევ უფრო მეტად საჭირო გახდა სათანადო და ოპერატიული ინფორმაციის ფლობა. გაძლიერდა საკონსულო სამსახურებისადმი ზეწოლა/ დატვირთვა, რათა დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო უკან დასაბრუნებელი რეისების და რეპატრიაციის პროცედურების შესახებ ინფორმაცია, პრობლემის გადაჭრისათვის შეთავაზებული რესურსი არ აღმოჩნდა საკმარისი.
- გამომდინარე იქიდან, რომ საკონსულოს ხელთ არსებული რესურსები (საკონსულო თანამდებობის პირთა ცხელი ხაზის ნომერი/ ელ. ფოსტა; საკონსულო დეპარტამენტის ცხელი ხაზის ნომერი/ ელ. ფოსტა და სამინისტროს/ საკონსულო დეპარტამენტის ვებ გვერდები) არ იყო საკმარისი, პროცესში ჩართულ იქნა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიც. მაგ.: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 26/03/2020 01-67 ბრძანებით საზოგადოებასთან პირდაპირი კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში მოქალაქეთა მხრიდან შემოსულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა და მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, ასევე, ახალი კორონავირუსის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს საქმიანობის შესახებ კომუნიკაციის დაგეგმარება და იმპლემენტაცია განესაზღვრა პრესის და ინფორმაციის დეპარტამენტს;




◉ მოცემული გამოწვევის საპასუხოდ, სამინისტროს FACEBOOK გვერდით შესაძლოა რამდენიმე 100 ათასს კითხვაზე მოხდა რეაგირება, რაც მოცემული დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობის სიმცირისა და COVID-19 დან გამომდინარე სხვა აქტუალური მიმართულებების (მთავრობის შესაბამის საკომუნიკაციო ჯგუფთან სამინისტროს საქმიანობის კოორდინაცია, სამინისტროს საქმიანობის შესახებ საჯარო გზავნილების შემუშავება) გათვალისწინებით უმნიშვნელოვანეს დატვირთვას და პასუხისმგებლობის სათანადოდ/ სანიმუშოდ შესრულებას უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა, ცხადია, რომ სოციალურ გვერდზე კომენტარებით კომუნიკაციით არ შემოიფარგლებოდა მგზავრობასთან, უსაფრთხოებასთან და საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით მოქალაქეთა ინტერესი, ისინი ეძებენ დამატებით რესურს ინფორმაციის სხვა (ოპერატიული) წყაროს მოსაძიებლად (იქნება ეს დიასპორის მიმართულება თუ საკონსულო). ამ ვითარებაში, ვფიქრობ, რომ სისტემური მიდგომით გამკლავება ბევრად მეტ შედეგს გამოიღებს. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ინტერნეტ ქსელის მეშვეობით მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან/ მინიმალური დანახარჯებით შესაძლებელია საგარეო პოლიტიკურ უწყებასთან დაკავშირება, კრიზისული სიტუაციების სირთულის მიუხედავად. ამ მხრივ საყურადღებოა უკვე დანერგილი ციფრული არხების გამოყენება ჩათ ბოტების სახით. იგი იძლევა საშუალებას დატვირთული კომუნიკაციური რესურსის განმუხტვაში. ასევე, მხედველობაშია მისაღები სოციალური ქსელი, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ახალი/ დამატებითი შესაძლებლობის შემქმნელი, რაც უწყების იმიჯის უკეთ წარმოჩენაშიც ეხმარება. ციფრული დიპლომატიის გამოყენება მნიშვნელოვანია დეზინფორმაციასთან ბრძოლისათვისაც, რომელსაც შესაძლოა გარკვეული ჯგუფები ახდენდნენ მოქალაქეებში დაბნეულობის შეტანისა და ნდობის დაკარგვის მიზნით. ხსენებული გამოწვევების საპასუხოდ, მთელმა რიგმა საზღვარგარეთის ქვეყნებმა დაიწყეს ე.წ. Chatbot-ის გამოყენება. WhatsApp-თან თანამშრომლობით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) წამოიწყო სპეციალური შეტყობინებების სერვისი ოთხ ენაზე (არაბული, ინგლისური, ფრანგული და ესპანური). ამ მიდგომას მალევე მიჰყვნენ ეროვნული ხელისუფლება დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში. DigDiploRox–ის მხარდაჭერით, ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსა ჩათბოტი, რომელიც აწვდის COVID-19–სთან დაკავშირებულ სამედიცინო რჩევებს, მაგრამ ასევე ინფორმაციას მოგზაურობის შეზღუდვების, საკონსულო მომსახურებისა და ქვეყნის კარანტინში შესვლისა და გასვლის პირობების შესახებ. მოცემული კრიზისის პერიოდში ჩათ ბოტის გამოყენებას მიმართა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მას ასევე დიდი ხანია იყენებს სინგაპურის და მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროები. მოვლენებს არ ჩამორჩა ელექტრონული მართველობის ერთ-ერთ სანიმუშო ქვეყანა ესტონეთი (დანერგილია სოციალური ურთიერთობის სამინისტროს მიერ). ამ ეტაპისათვის საერთაშორისო პრაქტიკების შესახებ სრული სია არ გამაჩნია, თუმცა



ვფიქრობ, რომ მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. ჩვენს შემთხვევაში ხსენებული პროგრამული რესურსის დანერგვა აქტუალურია იმდენად, რომ საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს FACEBOOK გააჩნია საკუთარი მომხმარებლის სახელი ხსენებულ სოციალურ ქსელში. მობილური მოწყობილობის მეშვეობით და მობილური ინტერნეტის/ Wi-Fi-ს გამოყენებით, მათ აქვთ შესაძლებლობა იქონიონ ინფორმაციაზე უწყვეტი კავშირი. აღნიშნული გარემოება კონსულტაციის გაწევის კუთხით განმუხტავს, როგორც პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის, საკონსულო დეპარტამენტის/ საკონსულო სამსახურების დატვირთვას.

| Chatbot ასევე გააჩნია ქვემოაღნიშნული უპირატესობანი<br>Call Centre-ის ფუნქციონირებასთან მიმართებით | |
|---|---|
| Chatbot კომუნიკაცია უფასოა. ხელმისაწვდომია 24/7 განმავლობაში, როგორც კომპიუტერის, ასევე, მობილური მოწყობილობიდან. | საერთაშორისო სატელეფონო ზარები მნიშვნელოვან დანახარჯს მოითხოვს. თუგინდ ხუთი პირისგან შემდგარი ჯგუფისგან, შეუძლებელია იგივე შედეგის მიღება (სავარაუდოა ერთ სამუშაო დღეს მათ მიერ მაქსიმუმ 400-500 სატელეფონო ზარის მიღება), მიუხედავად არათანაბარი ფინანსური ხარჯვით ნაწილისა. |
| არანაირი დაბრკოლება შეკითხვის დასასმელად/ პასუხის ავტომატურ რეჟიმში გასაცემად[8] | პანდემიის აქტიურ პერიოდში საკონსულო დეპარტამენტის/ საკონსულო თანამდებობის პირთა ცხელ ხაზზე შემავალი მრავალი ზარი უპასუხოდ დარჩა, რომელთა შორისაც სავარაუდოა ყოფილიყო სამართლებრივი დახმარების საჭიროების მქონე პირებიც. |
| დასმულ შეკითხვებზე პასუხი არ იძლევა ორაზროვანი აღქმის შესაძლებლობას. შესაძლებელია კითხვების და პასუხების მეტი სიზუსტით დასმა/ გაცემა. მისით არა მარტო კონკრეტულ სერვისია ხელმისაწვდომი, არამედ დაინტერესებულ პირთა საჭიროებების იდენტიფიცირებაც განხორციელდება. | ფიზიკურ პირთან დისკუსიაში შესვლისას, მატულობს მოქალაქეთა ორაზროვანი აღქმის ფაქტებიც. აღნიშნულს თავისთავად ემატება სტრესულ ვითარებაში მუშაობაც, რაც არ გამორიცხავს შეცდომების დაშვების ალბათობაც |
| კოორდინაციის პლატფორმით აგების შემთხვევაში (გარდა საკონსულო დახმარების და საკონსულო სერვისების საკითხებისა) უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი უწყების განახლებული ინფორმაციის დროული ხელმისაწვდომობა | დღეს არსებულ ვითარებაში, ბიუროკრატიული მექანიზმით სასარგებლო ინფორმაციის მიღება ოპერატიულ რეჟიმში გარკვეულ შემთხვევებში ვერ ხორციელდება. |

რა თქმა უნდა ზემოხსენებულით Chatbot პროგრამული რესურსი ამოწურული არ არის და მუდმივად ვითარდება, რა დროსაც მხედველობაში უნდა მივიღოთ ასევე:

- ✓ ავტომატური შეტყობინებების (შემუშავებული საჯარო გზავნილები) დაგზავნა სისტემასთან ინტეგრირებულ მომხმარებლებისათვის;
- ✓ სტატისტიკური მონაცემების დამუშავება მოქალაქეთა მოთხოვნილი ინფორმაციის/ დახმარების მხრივ (რაც საქმიანობის შემდგომ დაგეგმვაშიც/ რესურსის სწორედ მიმართვაშიც დაგვეხმარება).

უდავოა, რომ ტექნოლოგიებსა და კომუნიკაციების განვითარება ახლო მომავალში დიპლომატიური კომუნიკაციის ბუნებასაც მნიშვნელოვნად შეცვლის (გაუმჯობესდება სამუშაო დინამიკა). ზემოხსენებულის გათვალისწინებითაც მიმაჩნია, რომ არსებული გამოწვევებზე მხოლოდ დღეს არსებული რესურსით არ უნდა ვჯერდებოდეთ და

---

[8] პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია არა მხოლოდ ინფორმაციის (მაგ.: არსებული რეგულაციების შესახებ) ავტომატურ რეჟიმში მიღება, არამედ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით (მაგ.: საკონსულო დახმარების საჭიროება) უფლებამოსილი პირთან კომუნიკაცია, რასაც ემატება ვებ გვერდზე ინფორმაციის არასრულყოფილად/ არა დროულად განთავსებაც (მაგ.: საკონსულო საინფორმაციო ვებ პორტალზე https://www.geoconsul.gov.ge/ka/newsFeed სიახლეების ნაწილში მიმდინარე წელს გვხდება 20-მდე ინფორმაცია. მიზანშეწონილია ყველა ქვეყანასთან მიმართებით საკონსულო ინფორმაციის კონსოლიდირება (თანახმად საკონსულო დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის „დ.გ“ ქვეპუნქტისა), რომელსაც შემდგომში პროგრამული ბმა ექნება Chatbot-თან.
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/87952?publication=0

ვიყენებდეთ ყველა ხელმისაწვდომ რესურსს. აღნიშნული ინიციატივა ჩემს მიერ ასევე წარდგენილი იქნა **22/04/2020 14953-01** მოხსენებითი ბარათითაც.

**5. პირველი ONLINE/ დისტანციური სწავლების პლატფორმის შექმნა**

- დღეს ინტერნეტი მკვეთრად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. თანამედროვე განათლება წარმოუდგენელი გახდა კომპიუტერის და ინტერნეტის გარეშე, დღითი დღე უფრო და უფრო მეტი საჯარო მოხელე აქტიურად იყენებს ზემოხსენებულ შესაძლებლობებს. ამ მხრივ არც საგარეო პოლიტიკური უწყებებია გამონაკლისი. მრავალი უცხო ქვეყნის მიერ დანერგილია დისტანციური/ online სწავლების კურსები. ლოგიკურია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების/ დღევანდელი გამოწვევების გათვალისწინებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვისაც შეუქცევადი გახდება თანამედროვე ტენდენციებისათვის ფეხის სათანადო აწყობა. აღნიშნული გამოწვევა აქტუალურია იქიდან გამომდინარეც, რომ საზღვარგარეთ დიპლომატიურ სამსახურში მყოფი პერსონალი, წარმოადგენს თანამშრომელთა ნახევარს მაინც, რომლებიც საქართველოში მხოლოდ დასვენების (შვებულების) პერიოდში იმყოფებიან. ცხადია, რომ ამ ვითარებაში ისინი სამინისტროს მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამების მიღმა რჩებიან. ინტერნეტ-ტექნოლოგიების და დისტანციური სწავლების დანერგვამ შესაძლოა აგვარიდოს სასწავლო მივლინებების/ გამომახების აუცილებლობისაგან (გამოიყენებოდა საკონსულო და ფინანსური სწავლების მიმართულებით), რაც მნიშვნელოვანი საბიუჯეტო/ დონორი ორგანიზაციის რესურსის დაზოგვის შესაძლებლობას მოგვცემს. როგორც წესი, დისტანციური სწავლება უფრო იაფია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. ონლაინ სწავლების მეთოდები ატარებს სწავლების უფრო ინდივიდუალურ და მოქნილ ხასიათს ვიდრე ტრადიციული მეთოდი. იგი სრულიად ახალ შესაძლებლობებს აძლევს სპეციალისტებს როგორც უწყვეტი განათლების მისაღებად, ასევე სპეციალისტების გადასამზადებლად, მეორადი განათლების მისაღებად.

ყველასთვის კარგად ცნობილი ზემოხსენებული გარემოებების ხელახლა წარმოჩენა დამჭირდა პანდემიის პერიოდში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ შექმნილი სასწავლო მოდულების (E-Learning for Consular Staff)[9] წარმოსადგენად. მიგრაციის სასწავლო პლატფორმაზე[10] ასევე მოცემულია შემდეგი სახის სასარგებლო კურსები:

- **Migration Governance and trends**
- **Migrant protection and assistance**
- **Labour Migration and Development**
- **Migration Crisis and Emergencies**
- **Traffiking in Person**
- **Migration Health**
- **Gender and migration**
- **Communication and Development**
- **Imigration and border Management**
- **Reintegration Handbook Online Course**

ვფიქრობ, რომ ანალოგიური (სამინისტროს სასწავლო პროცესზე მორგებული) სასწავლო პროგრამის (დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში) შემუშავება დროულია. ჩემს მიერ წამოწეული ინიციატივის მისაღწევად საჭირო იქნება საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობის მოცემული მიმართულებით გააქტიურება, რაც უპირველეს ყოვლისა მოიცავს შემდეგს:

- პროგრამით სარგებლობის უფლების მოპოვება;
- მოდულების ქართულ ენოვანი ვერსიის შექმნა/ შინაარსობრივი მხარის თარგმნა;

---

[9] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://micicinitiative.iom.int/e-learning-consular-staff
[10] იხ. ბმული: https://www.ecampus.iom.int

- სწავლების მოდულების პროგრამული შემუშავება (ავტორიზებული მომხმარებლის პროგრამაში წვდომის დაცვის მაღალი სტანდარტით). შექმნილი მოდულების [redacted] ინსტიტუტის ვებ გვერდზე ჩაშენება/ სისტემური განვითარებისათვის დონორი ორგანიზაციის პერიოდული მხარდაჭერის მოპოვება.

ნიმუშად წარმოგიდგენთ სამინისტროს ადამიანური რესურსების მიერ პერიოდულად შემოთავაზებულ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ვებ გვერდს [redacted], რომელიც ეფექტიანად გამოიყენება დისტანციური სწავლების კურსების მხრივაც.

**6. Subscription for Newsletter**

- დღეს არსებული დატვირთული სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, საკმაოდ რთულია შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების (ჩვენს შემთხვევაში საგარეო სამინისტროს) ოფიციალურ ვებ გვერდსა თუ Facebook სიახლეების დევნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში საინფორმაციო გზავნილების




განხორციელება საგარეო პოლიტიკური უწყების ინტერესშიც შედის. მოცემულ სიტუაციაში ნოტიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობაც კი შეიძლება მიენიჭოს. ამ მხრივ საყურადღებოა ელექტრონული ბიულეტენი, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ საკომუნიკაციო ინსტრუმენტს წარმოადგენს ვებ. აუდიტორიისთვის. ჩემს მიერ გადამოწმებულ იქნა რამდენიმე ქვეყნის (უკრაინა, ისრაელი, ნორვეგია, ისლანდია და ა.შ.[11]) საგარეო საქმეთ სამინისტროს პრაქტიკა, რომელთა ვებ გვერდებზე სიახლეების გამოწერაა შესაძლებელი. სამინისტროს მიერ შესაბამისი ფუნქციის უზრუნველყოფის შემთხვევაში, შესაძლებელია მოთხოვნილი პერიოდულობით კონკრეტული კატეგორიის ინფორმაციის გამოწერა (სამინისტროს სარგებლობაში არსებული ყველა ვებ გვერდისთვის: [redacted], რითაც მნიშვნელოვნად გაიზრდება მოქალაქეთა ინფორმირებულობა.



მაგალითისთვის: საკონსულო საინფორმაციო ვებ პორტალზე 29/07/2020-ს განთავსებულ ინფორმაციას (რუსეთთან მიმართებით[12]) სულ რაღაც 210-მდე მნახველი (ერთი და იგივე მოწყობილობიდან ყოველ ჯერზე სიახლის გაცნობისას მნახველთა რაოდენობა იზრდება).

აქვე, გაცნობებთ, რომ ჩემს ხელთ დამუშავებულია კიდევ რამდენიმე იდეა/ ინიციატივა, რომელთაც უახლოეს პერიოდში შემოგთავაზებთ (ზემოხსენებული იდეა/ ინიციატივების 26/06/2012 N143 ბრძანების დანართი N3-ით გათვალისწინებული ფორმით/ სტრუქტურირებულ ვერსიას).

პატივისცემით,
ნიკოლოზ ნიკოლაძე

მრჩეველი

[11] იხ. ბმულები: https://www.government.is/subscription/
https://mfa.gov.ua/en https://mfa.gov.il/MFA/Pages/default.aspx https://www.regjeringen.no/en/dep/ud/id833/
[12] იხ. ბმული: https://www.geoconsul.gov.ge/ka/newsFeed/nId/181

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

Ministry of foreign Affairs of Georgia

**თანმშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა**

| | |
|---|---|
| დეპარტამენტი: | **საკონსულო დეპარტამენტი** |
| თანამდებობა: | **მრჩეველი** |
| სახელი, გვარი: | **ნიკოლოზ ნიკოლაძე** |

**იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:**

საგარეო საქმეთა სამინისტროს აკისრია რა მნიშვნელოვანი როლი საგარეო პოლიტიკის შემუშავება/ განხორციელების კუთხით, აუცილებლობა დგება სრულყოფილად ფლობდეს და აფასებდეს საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებს. ამ მხრივ გასათვალისწინებელია სამინისტროს საშტატო რიცხოვნობის სიმწირე, საჭიროებების და გამოწვევების გასამკლავებლად.
აღნიშნული გარემოება შესაძლებელია გარე რესურსების გამოყენების საფუძველი გახდეს, კერძოდ კი რიგ საკითხებთან (სამინისტროს მიერ წინასწარ განსაზღვრული თემატიკით) მიმართებით კვლევების დაკვეთა (მასში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (მაგისტრი, დოქტორანტი) კურსდამთავრებულები და მოცემულ სფეროში მოღვაწე ექსპერტები. შესაძლებელია, განხორციელდეს საუნივერსიტეტო კვლევა, მხარეთა შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, რა დროსაც საგანმანათლებლო დაწესებულებები კონფერენციებს, სხვადასხვა სახის სიმპოზიუმებს თუ კვლევებს მოაწყობენ სამინისტროს მიერ დასახული სფეროების შესაბამისად.

**იდეის დადებითი შედეგები:**

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა, მეცნიერთა, მკვლევართა ჩართულობის და კვალიფიცირებულ პირთა დაინტერესების გაზრდა სამინისტროს საქმიანობაში;
- კვალიფიციური კადრების გამოვლენა და სამინისტროს საქმიანობაში შემდგომი ჩართულობით დაინტერესება (სტაჟირება, კონკურსებში მონაწილეობა და ა.შ.);
- სამინისტროს თანამშრომელთა შრომითი და დროითი რესურსის დაზოგვა;
- განსხვავებული აზრის ფორმირება და მისი გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- სამინისტროს სახელით (მათ შორის დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით), საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ბეჭდური ან ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის გამოშვების შესაძლებლობა.

იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:

| |
|---|
| - კვლევის ფარგლებში შესაბამისი კვალიფიკაციის/ გამოცდილების მქონე და პოლიტიკური წარსულის/ კავშირების არმქონე პიროვნების ვერ შერჩევა;<br>- დონორი ორგანიზაციის მოძიება/ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის ვერ მოპოვება. |

იდეასთან დაკავშირებული მხარეები:

| |
|---|
| **ტერიტორიული და ფუნქციონალური დეპარტამენტები**<br>- სამინისტროს საჭიროებების და გამოწვევების შესახებ, საკითხთა ნუსხის შემუშავება.<br>**ადმინისტრაციული დეპარტამენტი**<br>- თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება;<br>- დონორი ორგანიზაციის მოძიება<br>- ბეჭდური გამომცემლობისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა<br>**ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი**<br>- კვლევითი საქმიანობისათვის განსაზღვრული სტანდარტების და კრიტერიუმების შემუშავება;<br>- კვლევის შესახებ საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა;<br>- დაინტერესებულ პირთა განაცხადების გადარჩევა, კონკურსში მონაწილე პირთა დასაშვებობის საკითხის განხილვა/ გადაწყვეტა;<br>- კვლევით საქმიანობაში გამარჯვებული პირთა დაჯილდოება.<br>**დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი**<br>- ნაშრომების შეფასებისათვის შესაბამისი მექანიზმის/ პროცედურის შემუშავება (ელექტრონული ფორმით ხმის მიცემის ანდა კომისიური განხილვის გზით);<br>- შერჩეული საუკეთესო ნაშრომების და ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის უზრუნველყოფა და მისი დაინტერესებულ პირთა შორის გავრცელება (დიპლომატიური წარმომადგენლობებისათვის და ბიბლიოთეკებისათვის მიწოდება, სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსება და სხვ). |

ხელმოწერა:

თარიღი: 30/07/2019

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

Ministry of foreign Affairs of Georgia

## თანმშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა

დეპარტამენტი: საკონსულო დეპარტამენტი

თანამდებობა: მრჩეველი

სახელი, გვარი: ნიკოლოზ ნიკოლაძე

**იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:**

სხვადასხვა ქვეყანაში პერიოდულად იმართება საშობაო ბაზრობები, სადაც მონაწილეობას იღებენ დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლები. ღონისძიების ფარგლებში ხდება სამზარეულოსა და კულტურის სხვა სფეროებში თავის წარმოჩინება. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება თუ იგი შეიძენს ჰუმანიტარულ ხასიათს და მიმართული იქნება დევნილი ბავშვებისადმი. კერძოდ:

1. ქალაქ თბილისის მერიასთან თანამშრომლობის გზით, გამოიყოფა სივრცე/ შენობა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დიპლომატიური კორპუსისთვის დახლების/ მაგიდების გამოყოფა, ასევე, შესაბამისი სცენების მოწყობა;
2. შერიგებისა და თანასწორობის საკითხთა სახელმწიფო მინის აპარატის მხარდაჭერით/ ხელშეწყობით, ორგანიზება გაუკეთდება სამიზნე ჯგუფების (კონფლიქტის ტერიტორიაზე მცხოვრები ან დევნილი არასრულწლოვანი პირების) პრობლემათა იდენტიფიცირებას და ქართული კულტურის და ტრადიციების წარმოჩენის შესაძლებლობას;
3. ღონისძიების პროგრამის შედგენას და აღნიშნულის საფუძველზე მონაწილეთა და სტუმართა დაშვების ორგანიზებას (აკრედიტაცია, ბილეთების გაყიდვა);
4. იმ პირთა და ორგანიზაციათა გამოკვეთას, რომლებიც შეძლებენ ქვეყნის კულტურის და სამზარეულოს წარმოჩენას (ტრადიციული სამოსი, სუვენირები, ტკბილეულობა, ქართული კერძები და სასმელები, ფოლკლორი და ქორეოგრაფია და ა.შ.);
5. შეთავაზების გაკეთება/ მოწვევა დიპლომატიური კორპუსის/ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელთათვის საკუთარი კულტურის/ სამზარეულოს წარმოჩენის შესახებ;
6. შეთავაზების გაკეთება დიპლომატიური კორპუსის/ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელთათვის სიმბოლურად Secret Santas ში მონაწილეობის მიღების მიზნით;
7. ღონისძიება წარიმართება სხვადასხვა გამოჩენილი პირის/ საზოგადო მოღვაწის/ ელჩის მიერ, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ ქველმოქმედებით მიღებული თანხის ფონდში (სპეციალურ საბანკო ანგარიშზე) აკუმულირებას.

**იდეის დადებითი შედეგები:**

- ქართული კულტურის და ტრადიციების პოპულარიზაციის ხელშეწყობა (სასურველია ემიგრაციაში მყოფი პირების ანდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა);
- დიპლომატიურ კორპუსსა და სამინისტროს თანამშრომელთა შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება/ განვითარება;
- უცხო სახელმწიფოთა ტრადიციული სამზარეულოს დევნილების ბავშვების მიერ დაგემოვნების შესაძლებლობა;
- ქველმოქმედება (ბილეთებიდან/ შემოწირულობებიდან შემოსული თანხა მიემართება წინასწარ დადგენილ რომელიმე საჭიროებას - სამიზნე ჯგუფები: კონფლიქტის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, დევნილები).

**იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:**

- იდეის ფინანსური მხარდამჭერი პირის/ ორგანიზაციის და ღონისძიების ჩატარებისათვის შესაბამისი სივრცის ვერ მოძიება

**იდეასთან დაკავშირებული მხარეები:**

✓ **ადმინისტრაციული დეპარტამენტი**

უზრუნველყოფს:

- დონორი ორგანიზაციის მოძიება (ლოგისტიკური მხარის უზრუნველყოფად);
- საშობაო ბაზრობისთვის შესაფერისი ადგილის პოვნა/ ქ. თბილისის მერიასთან თანამშრომლობა;
- ფონდის და ბილეთების შესაძენად საბანკო ანგარიშის შექმნა/ შეგროვებული თანხის სამიზნე ჯგუფებისადმი მიმართვა.

✓ **დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი**

უზრუნველყოფს:

- საშობაო ბაზრობის პროგრამის შემუშავებას და გავრცელებას;
- დაინტერესებულ პირთა აკრედიტაციას, ბილეთების გაყიდვის ორგანიზებას
- საქართველოს შესაბამისი უწყებების/ სამიზნე ჯგუფების ჩართულობას;
- დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა/ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელთა მოწვევას.

**ხელმოწერა:**

**თარიღი: 29/07/2019**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

Ministry of foreign Affairs of Georgia

## თანმშრომლის წინადადების და ინიციატივის (იდეის) წარმოდგენის ფორმა

დეპარტამენტი: **საკონსულო დეპარტამენტი**

თანამდებობა: **მრჩეველი**

სახელი, გვარი: **ნიკოლოზ ნიკოლაძე**

**იდეის მოკლე აღწერა და განხორციელების გზები:**

სამინისტროში ამჟამად მოქმედი შინა განაწესის შესაბამისად, უშუალო უფროსის გადასაწყვეტი ხდება წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლა/ არ ჩათვლა, რაც არაერთგვაროვან მიდგომებს წარმოშობს მენეჯერულ პოზიციებზე მყოფ პირთა სიმრავლისა და მათი შეხედულებების გათვალისწინებით. ამასთან, შინაგანაწესი მკაფიოდ არ განსაზღვრავს იმ პირს, რომელიც წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია იმსჯელოს გაცდენილი დროის საპატიოდ ჩათვლა/ არ ჩათვლასთან დაკავშირებით, რაც კიდევ მეტად ბუნდოვანს ხდის თანამშრომლებთან მიმართებით ერთიანი მიდგომების დანერგვის შესაძლებლობას (ერთი და იგივე პერიოდში, რაც ერთისთვის საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს, მეორე პირისათვის არა საპატიოდ შეიძლება გახდეს.

მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სასურველი ხდება ასეთი შემთხვევების განხილვა/ გადაწყვეტა მოხდეს ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ, რომელსაც საჭიროებისამებრ მიეწოდება სამუშაოს გამცდენი მოხელის უშუალო უფროსის პოზიცია და ფაქტთან დაკავშირებული გარემოებები: თავმოყრილი განცხადებების პერიოდულად გადაგზავნის გზით).

საგულისხმოა ის, რომ სამართლებრივი ნორმით ასევე არ არის განსაზღვრული:

- საპატიო მიზეზით სამსახურიდან გათავისუფლების გარემოებები (სხვა დაწესებულებაში ლექციაზე დასწრება ან/და სალექციო კურსის წაკითხვა, ორსულობა, მოხელის ან მისი ახლო ნათესავის მძიმე ავადმყოფობა, ახლო ნათესავის წევრის გარდაცვალება და სხვ.) და გადაწყვეტილების მიმღები პირები;
- სამსახურში გამოუცხადებლობის, ან სამუშაო საათების განმავლობაში სამსახურის, ან ადმინისტრაციული შენობიდან გასვლის შესახებ

უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულისათვის შეტყობინების წესი;

- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან კალენდარული თვის ან წლის განმავლობაში განთავისუფლების პერიოდულობა[1] და სამსახურისგან დროებით განთავისუფლების წესი;
- სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით შეღავათების საფუძველი და გარემოებები (მაგ.: სკოლამდელი ასაკის ბავშვის ყოლა და ა.შ.)
- სამსახურში დაგვიანებულად გამოცხადების მისაჩნევი პერიოდი, მისი ინტენსიურად განხორციელების შემთხვევაში გასატარებელი სანქციები;
- არა საპატიოდ გაცდენილი სამუშაოს შემთხვევაში განსაზღვრული სანქციები;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის დამატებითი დასვენების დროის განსაზღვრის შესაძლებლობა.

გარდა იმისა, რომ ზემოხსენებული საკითხის არ დარეგულირებით იქმნება თანამშრომელთა შორის შესაძლებლობების არასწორი აღქმა და აღნიშნული ხელს უშლის სამსახურში შრომის დისციპლინის სათანადოდ დაცვის შესაძლებლობას.

ამას გარდა, მიზანშეწონილია წამახალისებელი ქმედებების (მადლობის გამოცხადება ან შეღავათების მომავალი წლისთვის განსაზღვრა - **Day off**) იმ პირთა მიმართ, რომელთაც არ უფიქსირდებათ (საანგარიშო წლის განმავლობაში) სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება ანდა სამუშაო საათების არასაპატიოდ/ თვითნებურად შემცირება.

შესაბამისად, მიზანშეწონილია უფლებამოსილ პირთა შეხედულებების/ სხვა უწყებების გამოცდილების გაზიარების გზით ახალი სამართლებრივი აქტის მიღება (ან არსებულში ცვლილებების შეტანა)[2]. ასევე, ტურნიკების პროგრამის განახლება (შესაძლებლობიდან გამომდინარე სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელისათვის მონიტორინგის უკეთ წარმოების შემთხვევაში ყოველდღიურ რეჟიმში გამოუცხადებლობის/ სამუშაო საათების შემცირების შესახებ შეტყობინების განხორციელების გზით).

**იდეის დადებითი შედეგები:**

სამუშაო საათების გაცდენის საპატიო გარემოებებად მიჩნევის და წამახალისებელი ქმედებების შემოღებით, სტიმულირებული იქნება მოხელის მიერ სამუშაო დროის

---

[1] 16549-01; 10/04/2018 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც თვის განმავლობაში სამ ან მეტ შემთხვევაში სამსახურში დროულად არ გამოცხადდებიან, ან სამუშაო საათებს თვითნებურად შეამცირებენ ან და სამსახურს არასაპატიო მიზეზით გააცდენენ განხორციელდება დისციპლინური ღონისძიებანი

[2] იხ. ბმულები (სხვადასხვა უწყების შინაგანაწესები):

- https://sao.ge/legislation/internal-regulation;
- http://nfa.gov.ge/ge/chven-shesaxeb1/shinaganawesi-121
- http://gov.ge/files/331_38472_944984_N298(shinaganacesi).pdf
- http://fondi.gov.ge/uploads/2013/12/%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%981.pdf
- http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cae20d4ba1b7-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-20.08.2018-pdf.pdf
- http://prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/shinaganawesi20190130.pdf
- http://ssps.gov.ge/res/docs/2018071014593621082.pdf
- http://prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/shinaganawesi20190130.pdf

ორგანიზებულად და კეთილსინდისიერად გამოყენება.
ამას გარდა, ლიმიტირებული ქმედებები უზრუნველყოფს თანამშრომელთა შორის თანასწორი უფლებების შეგრძნებას და მეტად ეფექტურს გახდის შრომის დისციპლინის დაცვას.

**იდეასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები:**

თანამშრომელთა შორის შინაგანაწესით დანერგილი სიახლეების უარყოფითი აღქმა;
ტურნიკების პროგრამის განახლებასთან დაკავშირებით სახსრების ვერ მოძიება.

**იდეასთან დაკავშირებული მხარეები:**

**შიდა აუდიტის დეპარტამენტი**

- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების პრაქტიკების შესწავლა;
- შინა განაწესის პროექტით განსაზღვრული საკითხების/ მონაცემთა მონიტორინგის მექანიზმების შექმნა.

**ადმინისტრაციული დეპარტამენტი**

- პროგრამის გარდაქმნასთან დაკავშირებული სახსრების მოძიება/ გამოყოფა;

**საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური**

- არსებული საჭიროებების და გამოწვევების გათვალისწინებით, ტურნიკების პროგრამულ განახლებასთან დაკავშირებით მონახაზის/ პროექტის შემუშავება

იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

- ახალი სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების უზრუნველყოფა.

**ხელმოწერა:**

**თარიღი: 30/07/2019**

## Nikoloz Nikoladze

**From:** Nikoloz Nikoladze
**Sent:** Monday, July 20, 2020 9:19 AM
**To:** [redacted]
**Subject:** [redacted] და სხვა კურსები
**Attachments:** [redacted] - [redacted]

მოგესალმებით,

წარმოგიდგენთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით შექმნილ დისტანციურ სასწავლო კურსს (მარტივი სარეგისტრაციო ელ. ფორმა) [redacted], რომელიც ეხება უცხოეთში კრიზისული პერიოდის დროს დაშავებული მოქალაქეებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხს (მოიცავს 14-მდე თემატურ მოდულს: თემატური კვლევა და საუკეთესო პრაქტიკები და შესაბამისი მასალების მოშველიება). ელექტრონული სწავლების ფორმის შეთავაზება (საკონსულო კრიზისების თემასთან მიმართებით) საკონსულო თანამდებობის პირთათვის გასული წლის განმავლობაშიც განვახორციელე ინიცირება მოხსენებითი ბარათის სახით. ამასთან, სასურველი იქნებოდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (საქართველოში არსებულ წარმომადგენლობასთან) ან სხვა დონორ ორგანიზაციასთან მოლაპარაკებების გამართვა, რომ მთლიანად ჩვენზე მორგებული კურსის (ქართული კანონმდებლობის განხილვით, ტექსტის გადმოქართულებითა და რთული სარეგისტრაციო დაშვების და ტესტირების პირდაპირი ვიზუალური კავშირის რეჟიმში ჩატარების მეთოდოლოგია) შემუშავება ვთხოვოთ.
- თან ვურთავ შესაბამის სახელმძღვანელო დოკუმენტს [redacted] D IN CRISIS) - მსგავსი ტიპის დოკუმენტის შემუშავების საჭიროებაზე ასევე ავღნიშნე გასული წლის განმავლობაშიც.
ამასთან,
[redacted] მოცემულ ვებ გვერდზე მოცემულია შემდეგი სახის კურსებიც:

- Migration Governance and trends https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=2
- Migrant protection and assistance https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=3
- Labour Migration and Development https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=5
- Migration Crisis and Emergencies https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=8
- Traffiking in Person https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=4
- Migration Health https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=6
- Gender and migration https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=7
- Communication and Development https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=108

- Imigration and border Management https://www.ecampus.iom.int/course/index.php?categoryid=116
- **Reintegration Handbook Online Course https://www.ecampus.iom.int/enrol/index.php?id=84**

სს,

ნიკო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ქალბატონ **თეა ლეკვეიშვილს**

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/ N[redacted]
მცხ.:[redacted]
ელ. ფოსტა:[redacted]

# განცხადება

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად და 26/12/2018 4139-რსსაქართველოს კანონის („საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე) გათვალისწინებით, მომაწოდოთ ქვემოაღნიშნულის სახის **საჯარო ინფორმაცია**[1] შემდეგზე 01/04/2019-01/02/2022 მონაცემები საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირთა შესახებ[2] (ყოველთვიური გამიჯვნით, ქვემოაღნიშნული ფორმით)

| **4139-რს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოსათვის საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეების შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული/მისაწოდებელი მონაცემები** | | |
|---|---|---|
| მონაცემთა პერიოდი | მონაცემთა გაგზავნის თარიღი | რამდენ პირზე მიმართებით იქნა გაგზავნილი მონაცემები (მოცემული პერიოდისათვის ხსენებული კანონით გათვალისწინებული რამდენი პირი იდგა საკონსულო აღრიცხვაზე) |
| 2019 წლის მეოთხე თვის ბოლოსათვის | | |
| 2019 წლის მეხუთე თვის ბოლოსათვის | | |
| ----- | | |

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/გადაწყვეტილება *(თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).* აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი.

26/01/2022

[1] სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ **საჯარო დაწესებულებაში დაცული,** აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით **მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია,** ასევე საჯარო დაწესებულების მიერ **პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.**
[2] ეხება დევნილთა საქართველოს ფარგლებს გარეთ აღრიცხვას

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ქალბატონ **თეა ლეკვეიშვილს**

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/ N [redacted]; მცხ.: [redacted]

# განცხადება

საკონსულო საინფორმაციო ვებ პორტალზე მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, ქ. მიუნხენში ადგილზე ხორციელდება საქართველოს საკონსულო ფუნქციები. გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გათვალისწინებით მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია შემდეგზე:

1. მოცემული ფორმით ქ. მიუნხენში საქართველოს საკონსულო ფუნქციების განხორციელების დაწყების თარიღ(ებ)ი;
2. ქ. მიუნხენში საკონსულო ფუნქციების განმახორციელებელი პირ(ებ)ი თანამდებობრივი სტატუსები;
3. მეორე პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ ქ. მიუნხენში საკონსულო ფუნქციების განხორციელების საკანონმდებლო, კანონქვემდებარე და მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული საფუძველი (მუხლის და პუნქტის მითითებით);
4. მეორე პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ ქ. მიუნხენში საკონსულო ფუნქციების/ უფლებამოსილების ფარგლები;
5. მოცემული ფორმით ქ. მიუნხენში საკონსულო ფუნქციების დაწყებიდან დღემდე, შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელთა (არ იგულისხმება საპატიო კონსული) გრძელვადიანი მივლინების ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები და აქტის ასლი;
6. მეორე პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)ის მიერ, საკონსულო საქმიანობაში გამოსაყენებელი ბეჭდების/ შტამპების/ ბლანკების ნიმუშები.

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება (თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “დ” და “ე” პუნქტების გათვალისწინებით). აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი.

16/02/2022

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ქალბატონ თეა ლეკვეიშვილს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted]
მცხ. [redacted]

# განცხადება

საქართველოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის (მე-5 თავი[1]) 2021 წლის 9 თვიანი პერიოდის თანახმად, ჩატარდა საპატიო კონსულების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს ერთი სხდომა; დაინიშნა 9 ახალი საპატიო კონსული; გაიცა პატენტი და ამოქმედდება ეგზეკვატურის მიღებისთანავე 6 ახალი საპატიო კონსული; ნოტები თანხმობის თხოვნით გაიგზავნა 3 ახალ კანდიდატთან დაკავშირებით. გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მომაწოდოთ, საჯარო დაწესებულებაში 2016 წლიდან დღემდე დაცული საპატიო კონსულებთან დაკავშირებით ინფორმაცია **საჯარო ინფორმაცია/ დოკუმენტაცია[2]**:

1. მოცემული პერიოდის განმავლობაში, დანიშნულ საპატიო კონსულების შესახებ ინფორმაცია, ქრონოლოგიის დაცვით:

| საპატიო კონსულის ვინაობა/ მოქალაქეობა | საპატიო კონსულად დანიშვნის თარიღი | ადგილსამყოფელი ქალაქი | საკონსულო ოლქის ტერიტორია | უფლებამოსილების დაწყების თარიღი | წლიური ანგარიშების მოწოდების თარიღები |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

2. საპატიო კონსულების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს ჩატარებული სხდომების თარიღები;
3. საპატიო კონსულების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტების სათანადო წესით დამოწმებული ასლები.

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება *(თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).* აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით განსაზღვრული იქნება მოსაკრებელი, გთხოვთ, საწყის ეტაპზე ელექტრონული მასალა გადმომიგზავნოთ ელ. ფოსტის მისამართზე ([redacted] ხოლო ციფრულ ფორმატში მათი მიღების შემდგომ შევაფასებ მატერიალური ფორმით მიღებისათვის თანხის გადახდის მიზანშეწონილობას.

04/02/2022

---

[1] https://www.mof.ge/5479

[2] სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ქალბატონ თეა ლეჟავაშვილს


მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted]


# განცხადება

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მომაწოდოთ, საჯარო დაწესებულებაში 2015 წლიდან დღემდე საპატიო კონსულებთან დაკავშირებით დაცული **საჯარო ინფორმაცია/ დოკუმენტაცია**[1] შემდეგზე:

- თბილისში 2015 წლის 13 ივნისს მომხდარ სტიქიასთან, კოვიდ პანდემიასთან ან სხვა გამოწვევებთან/ პრობლემურ მდგომარეობასთან დაკავშირებით საპატიო კონსულების მიერ შესაბამის ფონდებში განხორციელებული შემოწირულობების შესახებ:

| | განხორციელდა თუ არა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან საქართველოში შექმნილ შესაბამისი ფონდის რეკვიზიტების საპატიო კონსულთათვის მიწოდება (სასურველია მიეთითოს საფუძვლებიც) | შემომწირველ საპატიო კონსულთა რაოდენობა (ან/და დაწესებულებების დასახელება) | განხორციელებული შუამდგომლობის საფუძვლად, გადარიცხული თანხის ოდენობა/ შემოწირულობის ოდენობა |
|---|---|---|---|
| 2015 წლის 13 ივნისის სტიქია | | | |
| კოვიდ პანდემია | | | |
| სხვა გამოწვევა/ პრობლემა | | | |

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება *(თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).* აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით განსაზღვრული იქნება მოსაკრებელი, გთხოვთ, საწყის ეტაპზე ელექტრონული მასალა გადმომიგზავნოთ ელ. ფოსტის მისამართზე [redacted] ხოლო ციფრულ ფორმატში მათი მიღების შემდგომ შევაფასებ მატერიალური ფორმით მიღებისათვის თანხის გადახდის მიზანშეწონილობას.

06/02/2022

---

[1] სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო
ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელ პირს, იურიდიულ საკითხთა და
პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ თეა ლეკვეიშვილს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

# განცხადება

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, მომაწოდოთ ქვემოაღნიშნულის სახის საჯარო ინფორმაცია[1]:

1. 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 26 ივლისის ჩათვლით პერიოდში საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა მიერ სპეციალური კატეგორიის ვიზების გაცემისათვის განსახილველად მიღებული განაცხადების (ან/და გაცემული ვიზების) რაოდენობა;
2. განცხადების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებებისთვის/ მომსახურებისთვის (მოცემულ პერიოდში) მიღებული/ აღებული შემოსავლების ჯამური ოდენობა;
3. განცხადების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებებისთვის/ მომსახურებისთვის (მოცემულ პერიოდში) დაწესებული შეღავათების რაოდენობა, მათ შორის მოსაკრებლისგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლების გამიჯვნით.

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადაში საჯარო მონაცემთა დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, გთხოვთ, მაცნობოთ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეული ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა ხსენებული ინფორმაცია/ გადაწყვეტილება *(თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" პუნქტების გათვალისწინებით).* აქვე, ზემოხსენებული ინფორმაციის კატეგორიის რომელიმე პუნქტთან და მოთხოვნასთან მიმართებით მონაცემების დამუშავების შეუძლებლობის ან/და არგასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მაცნობოთ და ამასთანავე არ დააყოვნოთ დარჩენილი მონაცემების მოწოდების პროცესი.

25/01/2022

[1] სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

KA040100026803623

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

**№ გ2275** **06 / მარტი / 2023 წ.**

ნიკოლოზ ნიკოლაძეს
მცხ.: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მიმდინარე წლის 24 თებერვლის (რეგ. N788) განცხადების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

მხილების ელექტრონული ვებგვერდი [redacted] ამოქმედდა 2015 წლის ნოემბრის ბოლოს. ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდი [redacted] მხოლოდ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს მამხილებელსა და საჯარო დაწესებულებებს შორის, მამხილებელთა პორტალზე შემოსული მხილების ყველა ფაქტი მისამართდება შესაბამის უწყებაში. შესაბამისად, ბიურო მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს ფლობს და მხილების ფაქტის შინაარსის, მათზე რეაგირების თუ სხვა კონკრეტული საკითხების დადგენა არ წარმოადგენს ბიუროს კომპეტენციას.

ამდენად, თქვენ მიერ მოთხოვნილ უწყებებთან მიმართებაში გაცნობებთ სტატისტიკურ მონაცემებს მხილების ფაქტებთან დაკავშირებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა 6 მხილების ფაქტს, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში 8 მხილების ფაქტს.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი — ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად — თეიმურაზ ჩიხრაძე

# რა შედეგი მოჰყვება აშშ–ის მიერ ნეიტრალურ აღიარებას

6 ივნისი, 2012 • • 2076






სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტი

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა 5 მაისს ბათუმში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ აფხაზ და ოს ხალხს საშუალება ექნება, ამერიკაში ისწავლონ, ან იმოგზაურონ სპეციალური ნეიტრალური სტატუსის მქონე დოკუმენტების საშუალებით.

"მალე აშშ–ის საელჩოები და საკონსულოები მსოფლიოში მიიღებენ ნეიტრალური სტატუსის მქონე სამგზავრო დოკუმენტებს, ნებისმიერი ამ რეგიონში (აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის) მცხოვრები რეზიდენტისთვის, რომელთაც სურვილი ექნებათ, რომ ის გამოიყენონ აშშ–ში სასწავლებლად ან სამოგზაუროდ", – განაცხადა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა და აქვე აღნიშნა, რომ ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი შერიგებისკენ.

საქართველოს მთავრობა 2010 წლიდან უკვე გასცემს ნეიტრალური სტატუტის დოკუმენტებს კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის.

რამდენიმე სახელმწიფოდან. ახლა ამას დაემატა აშშ–ც. ალბათ, უკვე მთლიანად ევროკავშირიც დათანხმდება ამ ინიციატივას. ჩვენ გვინდა, რომ კონფლიქტურ ზონებში მცხოვრებლებმა ნახონ, რომ გარდა რუსეთისა, არსებობს დასავლეთი", – აღნიშნავს "ნეტგაზეთთან" მალაშხია.

კონფლიქტოლოგი, "რესპუბლიკური პარტიის" წევრი პაატა ზაქარეიშვილიც მიესალმება აშშ–ის გადაწყვეტილებას, თუმცა მიიჩნევს, რომ ამას თვალშისაცემი შედეგი არ მოჰყვება.

"2010 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ანუ როდესაც საქართველოს მთავრობამ მიიღო ეს პასპორტები, არცთუ ბევრმა ადამიანმა ისარგებლა ამ ინიციატივით. დაახლოებით 30–40–მა ადამიანმა ისარგებლა ამ პასპორტით. ახლა ამით არც არაფერი შეიცვლება. თუ ვინმე მზად არის, აიღოს ამ ტიპის პასპორტი, ისინი თამამად იღებენ საქართველოს პასპორტს იმიტომ, რომ ქართული პასპორტი უფრო დაცულია და უფრო მრავალფუნქციურია, ვიდრე ნეიტრალური პასპორტი. თუ პიროვნებას სურს აიღოს ნეიტრალური პასპორტი, ის მაშინ ქართულ პასპორტს აიღებს პირდაპირ. ვინც უარს ამბობს ქართულ პასპორტზე, ისინი ამ პასპორტსაც არ აიღებენ", – ამბობს "ნეტგაზეთთან" ზაქარეიშვილი.

თუმცა განსხვავებულად ფიქრობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია და აღნიშნავს, რომ ამ განცხადებებს უფრო მეტი შედეგი მოჰყვება და კონფლიქტურ რეგიონებში უფრო მეტ ადამიანს ექნება ამ დოკუმენტით სარგებლობის სურვილი.

"ამიტომ, როდესაც ეს ტენდენცია გამოჩნდება და ადამიანები აიღებენ ნეიტრალურ პასპორტს, იმ ქვეყნებში გადაადგილდებიან, სადაც ეს შესაძლებელია და ნახავენ, თუ რას ნიშნავს სარგებლობა ამ პრივილეგიებით, ცხადია, ეს ადამიანები ქართულ პასპორტსაც აიღებენ და სხვასაც მოუწოდებენ ამისკენ. ეს არის პრაქტიკულად ზრუნვა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადამიანებმა არ განიცადონ მენტალური სხვაობა ოკუპირებულსა და არაოკუპირებულს შორის და მიიღონ ის განათლება, ჯანდაცვა, რაც ჩვენთვის არის ხელმისაწვდომი", – მიიჩნევს მალაშხია.

სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტებით გადაადგილება კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები რეზიდენტებისთვის შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყნებში, საიდანაც საქართველო ამ თანხმობას მიიღებს. ამ ქვეყნების რიცხვში შედიან: ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩეხეთი, იაპონია და ახლა უკვე ამერიკის შეერთებული შტატებიც.

# ყველაფერი ერთ სივრცეში




## ნეიტრალური დოკუმენტი

იუსტიციის სახლი

## რა არის ნეიტრალური დოკუმენტი?

ნეიტრალური დოკუმენტი არის ჰუმანიტარული ხასიათის საბუთი, რომელიც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობას სოციალური სერვისების მიღებისა და საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს. იგი ნეიტრალურია მოქალაქეობის მიმართ და არ შეიცავს საქართველოს სახელმწიფოსთან ან მთავრობასთან დაკავშირებულ რაიმე სახის სიმბოლიკას.

ნეიტრალური დოკუმენტები ორი სახისაა:

- პირადობის ნეიტრალური მოწმობა;
- ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

## რა არის პირადობის ნეიტრალური მოწმობა?

პირადობის ნეიტრალური მოწმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მფლობელს უფასო სოციალური მომსახურებების მიღებისა და შემდეგი უფლებების გამოყენების საშუალებას აძლევს:

- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება;
- უფასო/თანადაფინანსებული ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობა;
- საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, სოციალური და სხვა პროექტების განხორციელებისათვის გრანტის მიღება;
- სხვა სოციალური შეღავათებით სარგებლობა.

პირადობის ნეიტრალური მოწმობა შედგენილია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ენებზე და მისი აღება ნებაყოფლობითია.

## რა არის ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი არის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც ზემოთაღნიშნული სარგებლის გარდა მფლობელს დამატებით საზღვარგარეთ თავისუფლად გამგზავრების საშუალებას აძლევს.

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი შედგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და მისი აღება ნებაყოფლობითია.

## ვის შეუძლია აიღოს ნეიტრალური დოკუმენტები?

პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის აღება შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას ან მის შთამომავალს, რომელიც 1992 წლის 31 დეკემბრის მომენტისათვის აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონში ცხოვრობდა და რომელსაც არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა.

## სად შეიძლება ავიღო ნეიტრალური დოკუმენტები?

ნეიტრალური დოკუმენტების აღება შესაძლებელია ნებისმიერ იუსტიციის სახლში.

## ვის შეუძლია განაცხადის გაკეთება?

- დოკუმენტის აღების მსურველ პირს პირადად;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე მესამე პირს;
- არასრულწლოვანი ან ქმედუუნარო პირის შემთხვევაში - მის ერთ-ერთ მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს (16 წლამდე არასრულწლოვანზე ან ქმედუუნარო პირზე ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემისათვის აუცილებელია ორივე მშობლის თანხმობა);
- ვებ-გვერდზე www.house.gov.ge ონლაინ რეჟიმში დოკუმენტის აღების მსურველ პირს.

## წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

1. პირადობის დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

- ყოფილის სრკ-ს სიმბოლიკიანი პასპორტი;

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ტერიტორიაზე მოქმედი დე-ფაქტო ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ გაცემული დაბადების ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციის მიერ გაცემული ცნობა;

- 18 წლამდე პირებისთვის, ასევე 1992 წლის 31 დეკემბრის შემდგომ დაბადებული პირების შემთხვევაში - დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი, მათი მშობლის/კანონიერი მეურვის ზემოთ მოყვანილ ნებისმიერ დოკუმენტთან ერთად;

- პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

2. ერთი ფოტოსურათი ზომით 3,5x4,5 სმ (დაბეჭდილი და ელექტრონული ფორმით);

3. დოკუმენტის გაცემისთვის დაწესებული საფასურის ქვითარი.

იმ შემთხვევაში თუ პიროვნება უკვე ფლობს პირადობის ნეიტრალურ მოწმობას, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა მის საფუძველზე.

## მომსახურების ღირებულება:

პირადობის ნეიტრალური მოწმობა - 10 ლარი;
ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი - 35 ლარი.

ფოტოსურათის გადაღება და მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელია ადგილზე, იუსტიციის სახლში.
დოკუმენტები გაიცემა განაცხადის შეტანიდან 10 სამუშაო დღეში.

## რა ხანგრძლივობით გაიცემა აღნიშნული დოკუმენტები?

18 წელს ზემოთ პირებისათვის:

პირადობის ნეიტრალური მოწმობა- 5 წლის ვადით;
ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი - 10 წლის ვადით;

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი 18 წლამდე პირებზე - 3 წლის ვადით;

ვადის ამოწურვის შემთხვევაში გაიცემა ახალი პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელის შესახებ ინფორმაცია დაცულია.

ნეიტრალური დოკუმენტების თაობაზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი www.house.gov.ge ან დაუკავშირდით იუსტიციის სახლის ცხელ ხაზს ნომერზე:



2 405 405

www.house.gov.ge

info@house.gov.ge

www.facebook.com/publicservicehall

Chrome File Edit View History Bookmarks Profiles Tab Window Help 30% Fri 2:13 PM

Mail - niko nikoladze - Outlook | ნეიტრალური დოკუმენტები | პირადობის ნეიტრალური მ | PSH - იუსტიციის სახლი

psh.gov.ge/main/page/1/65/447

იუსტიციის სახლი

ENG RUS APS

JUSTdrive JUSTcafe დისტანციური სერვისები My.gov.ge

ძიება საიტზე

პიროვნება | ბიზნესის რეგისტრაცია | ქონების რეგისტრაცია | სააღსრულებო სერვისები | საარქივო სერვისები | ონლაინ სერვისები | ჩვენ შესახებ

პიროვნება > ნეიტრალური დოკუმენტები > ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი

- რა არის ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?
- ვისზე გაიცემა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე.

- სად არის შესაძლებელი ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღება?
- ვინ შეიძლება წარადგინოს განცხადება ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად?
- ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები
- რა ვადით გაიცემა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი
- დამზადებული ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის დაინტერესებულ პირზე გადაცემა
- მომსახურების ვადა და საფასური

https://psh.gov.ge/main/page/1/65/447#ac2367

Chrome File Edit View History Bookmarks Profiles Tab Window Help 29% Fri 2:14 PM

Mail - niko nikoladze - Outloo | ნეიტრალური დოკუმენტებ | პირადობის ნეიტრალური | intpass.sda.gov.ge/NeutralDc | JPG to PDF – Convert JPG Im

intpass.sda.gov.ge/NeutralDocDefault.aspx

აზალი განაცხადი

ვიდეო ინსტრუქცია

რეგისტრირებული განცხადების ნახვა

განაცხადის ნომერი

განაცხადის კოდი

07-46360

გენერირება

საკონტროლო რიცხვი

ძებნა

Calendar

**რას წარმოადგენს პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?**

პირადობის ნეიტრალური მოწმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას და მის საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

**ვის შეუძლია პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღება?**

პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღება შეუძლია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, რომელთაც მიღებული არ აქვთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

**როგორ მივიღო პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი სახლიდან გაუსვლელად?**

სახლიდან გაუსვლელად პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად, იუსტიციის სახლის ვებგვერდზე უნდა შეავსოთ ელექტრონული განცხადება, ატვირთოთ თქვენი ბიომეტრიული ფოტოსურათი, საჭიროების შემთხვევაში წარადგინოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები, დაუკავშირდეთ დისტანციური მომსახურების სამსახურის ოპერატორს და პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში გამოხატოთ თქვენი ნება პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებასთან დაკავშირებით.

**ვინ შეიძლება იყოს განმცხადებელი პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე ?**

დისტანციური მომსახურებით პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად განაცხადის წარდგენა შეუძლია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და